645
1987

8 ISSN 0881-1500
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი



ხევსური.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС ҚАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

645
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ნინო ჯავახიშვილი

# ქალთა მსოფლიო კონგრესზე

მოსკოვში, ქალთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი და მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი.



მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა ქალთა მსოფლიო კონგრესზე  გ. მაკარიჩევის ფოტოები

23 ივნისს, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა ქალთა მსოფლიო კონგრესი დევიზით — „2000 წლისათვის უბირთვულიარაღოდ, მშვიდობისათვის, თანასწორობისათვის, განვითარებისათვის“. ხალხით სავსე დარბაზი ძლივს იტევდა ყველა კონტინენტიდან ჩამოსულ 150-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს — სხვადასხვა წრის, პროფესიის, პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენის ქალებს. მაგრამ მათ ყველას აერთიანებდა მისწრაფება, სურვილი გაეკეთებინათ ყველაფერი დედამიწაზე სიცოცხლის დასაცავად და შესანარჩუნებლად.

ქალთა ამ დიდ მსოფლიო ფორუმში მონაწილეობისათვის იმაზე მეტი ჩამოვიდა, რამდენმაც ადრე განაცხადა ამის სურვილი, ამიტომაც დელეგატთა რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა წინასწარ დაგეგმილ რიცხვს — 2.300-ს. საუცხოო სანახავი იყვნენ სხვადასხვანაირ ტანსაცმელში გამოწყობილი ეს დელეგატები. ფერადოვნება კიდევ უფრო საზეიმო იერს აძლევდა დარბაზს. კონგრესი გახსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ ფრიდა ბრაუნმა, რომელიც მიესალმა დამსწრეთ და მადლობა გადაუხადა საბჭოთა ქალებს მასპინძლობისათვის. ფრიდა ბრაუნმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ მინისტრები, პოლიტიკური მოღვაწეები, საზოგადოებრივი მოღვაწეები, ქალიშვილები, დედები, ბებიები, და რომ მათ აერთიანებს მშვიდობის, სამართლიანობისა და თანასწორობისაკენ სწრაფვა. ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ მძიმეა ქალის მდგომარეობა, ზოგან გაუარესდა კიდეც, ქალი დამორჩილებულია ძველ დახავსებულ ტრადიციებს, ქალებს უწევენ სასტიკ ექსპლუატაციას, ბევრი ქალი საომარი კონფლიქტების მსხვერპლია; კონგრესზე ქალებს შეუძლიათ აიმაღლონ ხმა ჩაგვრის წინააღმდეგ, გამოთქვან პროტესტი აპარტეიდის მიმართ, მოუწოდონ სოლიდარობისაკენ; კონგრესის სტრატეგიული



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

პროგრამა გმობს ადამიანთა მატერიალური რესურსების ფლანგვას გამალებულ შეიარაღებაზე. თუ მივაღწევთ მშვიდობას, ეს შექმნის პირობას ნამდვილი თანასწორუფლებიანობის დამყარებისათვის. ბირთვული საშიშროება გააქტიურებას ავალებს მშვიდობის მომხრეთ. ამ მოძრაობაში ქალები ძალიან დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ქმნიან „მშვიდობის ბანაკებს“, მონაწილეობენ „მშვიდობის მარშებში“ და სხვა მრავალ წამოწყებაში.

კონგრესზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. მან დაახასიათა საბჭოთა ქალის მდგომარეობა, მისი წვლილი სოციალიზმის აშენებაში და ის როლი, რომელსაც საბჭოთა ქალი ასრულებს დღევანდელი რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებაში, ილაპარაკა ქალთა საბჭოებზე, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ქალებს კიდევ უფრო სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობა ამ დიად გარდაქმნებში, და ამავე დროს, იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც აკისრია ქალს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, ოჯახის წინაშე. ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაზე, იმ კონსტრუქციულ წინადადებებზე, რომლებიც მრავალგზის წამოაყენა საბჭოთა კავშირმა გამალებული შეიარაღების შესანელებლად, ბირთვული იარაღის ასაკრძალავად.

საბჭოთა კავშირის მეთაურის გამოსვლა კონგრესის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

კონგრესისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის მისალმება წაიკითხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური განვითარების და ჰუმანიტარული საკითხების ცენტრის დირექტორმა ვენე ენსტიმ.

ამაღელვებელი იყო კონგრესზე კენიის, ნორვეგიის, იაპონიის, მექსიკის, ინდოეთის, აშშ, საბჭოთა კავშირის ბავშვების გამოჩენა. აღმასრულებელმა დირექტორმა პატრისია მონტანდონმა მხურვალე სიტყვით მიმართა კონგრესს: „დაიცავით ბავშვების მომავალი!“ ამავე დროს, დარბაზში ბავშვებმა შემოიტანეს დიდი ტილო, რომელზეც ეწერა იმ ბავშვების სახელები, ვისი სიცოცხლეც იმსხვერპლა ფაშიზმმა, რასიზმმა, გენოციდმა, აპარტეიდმა. ბავშვებმა თავიანთ ენაზე მიმართეს კონგრესს: „ჩვენი უდროოდ დაღუპული ამხანაგების სახელით მოგმართავთ, ყველაფერი მოიმოქმედეთ, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს სახლი, სწავლის შესაძლებლობა, ყველა გავიზარდოთ და ვიცხოვროთ XXI საუკუნეში უბირთვულიარაღოდ“. ბავშვებმა მ. ს. გორბაჩოვს და ფრიდა ბრაუნს მიართვეს ბროლის გლობუსები, დედამიწის სიმბოლო და მოითხოვეს: „დაგვეხმარეთ დედამიწის გადარჩენაში, დაე, დედამიწაზე ყოველთვის სუფევდეს მშვიდობა!“, „დაე, მუდამ იყოს მზე...“

კონგრესის პირველ სხდომაზე გამოვიდნენ საბერძნეთის ქალთა კავშირის თავმჯდომარე მ. პაპანდრეუ, ლათინური ამერიკის ქვეყნების ასოციაციის თავმჯდომარე ეუჰენია მარტინესი, ინდოეთის ქალთა ფედერაციის საპატიო თავმჯდომარე, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი არუნე ასაფ ალი;

კონგრესის მუშაობა გაგრძელდა რვა კომისიასა და სამ ცენტრში: ქალები მშვიდობასა და განიარაღებაში; ქალი საზოგადოებაში; ქალი და დასაქმება; ქალი, ბავშვები, ოჯახი; ქალის მონაწილეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში; ქალი და განვითარების პრობლემები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ქალი; არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და თანამშრომლობა პერსპექტიული სტრატეგიის ცხოვრებაში გატარებისათვის.

დაგეგმილი სხდომების გარდა 5 დღის განმავლობაში იმართებოდა ცალკეული შეხვედრები, საუბრები, კონსულტაციები, პრესკონფერენციები. თითოეული დაინტერესებული ორგანიზაცია გამოაკრავდა პლაკატს თემის დასახელებით და იწვევდა დაინტერესებულ პირებს დისკუსიაში მონაწილეობისათვის.

მე პირადად უფრო მეტი დრო მოვანდომე იმ კომისიაში მუშაობას, რომელსაც ეწოდებოდა „ქალი, ბავშვები და ოჯახი“. კომისიას შვეიცარიელი ლაურე ბეკი თავმჯდომარეობდა. საკითხი ყველა ქალისათვის მეტად მტკივნეული იყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის ქალები, რომლებიც ლაპარაკობდნენ იმ გაჭირვებასა და უბედურებაზე, რაც






თავს დაატეხეს მათს ბავშვებს და ოჯახებს იმპერიალისტური ქვეყნების, უპირველესად კი აშშ-ის, ისრაელის, სამხრეთ აფრიკის რეჟიმის აგრესიამ და მათი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევამ, იმ ვერაგულმა პოლიტიკამ, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, წინ აღუდგეს ერების თვითგამორკვევას და დამოუკიდებლობას. ლიბანელმა ქალმა მოუწოდა ყველას, უთანაგრძნონ იმ უბედურებაში, რომელიც არგუნა მათ ისრაელის აგრესიამ. მანვე კონგრესის მონაწილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა






ვ. მაჭარაშვილის ფოტოები.

ებს გადასცა დასახიჩრებული ბავშვის სურათი და დასძინა, რომ ეს გამონაკლისი არ არის. იაპონელმა ქალმა აღნიშნა, რომ მათს ქვეყანაში მაღალია ტექნიკური განვითარების დონე, მაგრამ მაინც დიდი პრობლემაა უმუშევრობა, რომელიც უპირველესად ქალს აწვება მძიმე ტვირთად. მეზობელი სიტყვით გამოვიდა სამხრეთ აფრიკელი ქალი და განაცხადა, რომ ძნელია იმ საშინელების აღწერა, რომელიც მძვინვარებს მის ქვეყანაში. თეთრკანიანები მოსახლეობის მხოლოდ 4,5 პროცენტს შეადგენენ და მათ უნდათ მკვიდრი მოსახლეობის გენოციდის გზით გაასწორონ ეს შეფარდება. ბოტას ხელისუფლება არ სჯერდება მოზრდილი მოსახლეობის რეპრესიებს, აპატიმრებს, აწამებს და ასახიჩრებს ბავშვებს. არგენტინელმა ქალმა აღნიშნა, რომ სამხედრო დიქტატურის პერიოდში ბევრმა ბავშვმა დაკარგა მშობლები, ბევრი ბავშვი მიატოვეს. ახლა მათ დიდი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი — დაადგინონ ამ ბავშვების ვინაობა, მოძებნონ მათი მშობლები. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბევრი ოჯახი სიღარიბის გამო იძულებულია გაასხვისოს ბავშვი. ზამბიელი ქალი აღწერდა იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიც უხდებათ მათ მუშაობა და ცხოვრება: მწარმოებელს ურჩევნია გადაიხადოს ჯარიმა, ვიდრე გააუმჯობესოს მუშაობის პირობები, დაიცვას წარმოების უსაფრთხოება. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ზამბიის საწარმოებში 1.400 უბედური შემთხვევა მოხდა.

ბევრი განვითარებადი ქვეყნის ქალი აღნიშნავდა სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლების სიმცირეს, ქალის უფლებების შეზღუდვას, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უუფლებობას. კოსტარიკელმა ქალმა ასეთი რიცხვებიც კი მოიყვანა: ოჯახების 80 პროცენტი ღარიბად ცხოვრობს, რადგან სამხედრო ხარჯები ძალიან დიდია და მათი ქვეყნის ტერიტორიიდან აშშ ემუქრება ნიკარაგუას. ყვავილით დაავადებამ იმძლავრა, მარტო შარშან, — თქვა მან, — 41 ბავშვი მოკვდა ყვავილით. ანგოლაში პორტუგალიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ გაჩაღებულმა 14 წლის ბრძოლამ დაანგრია ბევრი ოჯახი, დაობლა ბევრი ბავშვი და, თუმცა ახლა უკვე მოპოვებულია მიღწევები, ფარული ომი ჯერაც გრძელდება და ხალხს ძალიან უჭირს.

ძნელია ყველა ორატორის გულისტკივილის ჩამოთვლა. იმ ახლადგათავისუფლებულ ქვეყნებშიც კი, სადაც ქალმა მოიპოვა გარკვეული უფლებები, ქალის ცხოვრებას მძიმე დაღს ასვამს უწიგნურება, საუკუნეების მანძილზე არსებული დისკრიმინაცია და ტრადიციები, საკვების ნაკლებობა, სხვადასხვა მძიმე ენდემიური დაავადებები, ცხოვრების დაბალი დონე და შეუფერებელი ჰიგიენურ-სანიტარული სამსახური. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ქალებს კი, არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში უმუშევრობა და სოციალური უზრუნველყოფის საშუალებათა სიმცირე გარდაუვალ წინააღმდეგობებს უქმნის სრულფასოვანი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. რამდენიმე ქალმა ილაპარაკა ემიგრანტ ქალთა მძიმე მდგომარეობაზე.

რასაკვირველია, ლაპარაკი იყო იმ წინსვლაზეც, რომელიც მიღწეულია განვითარებად ქვეყნებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. არც სოციალისტური ქვეყნების ქალები, რომელთაც მოპოვებული აქვთ თანასწორუფლებიანობა, არ ერიდებოდნენ ლაპარაკს მათ წინაშე მდგარ პრობლემებზე. სულ ამ კომისიაზე 70 ქვეყნის 118 წარმომადგენელი ქალი გამოვიდა. მთლიანად, კონგრესის ყველა კომისიის სხდომებზე გამოვიდა 1000-ზე მეტი ორატორი — 154 ქვეყნის 88 რეგიონალური და ეროვნული ორგანიზაციის წარმომადგენელი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 38 სხვადასხვა ქვედანაყოფის წევრები. ფართო და გულწრფელი მსჯელობა გაიმართა 150 დიალოგის სახით.

კონგრესის დახურვა ისეთივე საზეიმო იყო, როგორც გახსნა. ყველა დელეგატი გრძნობდა, რომ ხუთი დღის ერთობლივი მუშაობა დიდად დაეხმარება დიადი იდეალების განხორციელებაში. კონგრესის შემდეგ დელეგატების ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებში გაემგზავრა. საქართველოს ესტუმრნენ ავსტრიელი, ამერიკელი, ბელგიელი, დასავლეთ ბერლინელი, იტალიელი, მექსიკელი, ნორვეგიელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალები. მათ ნახეს ჩვენი ქალები საწარმოებში, თავიანთ სამუშაო ადგილებზე, დაათვალიერეს სკოლამდელი დაწესებულებები, ესაუბრნენ ქალთა საბჭოების ხელმძღვანელებს და წარმომადგენლებს, გაეცნენ საქართველოს ისტორიულ ძეგლებს; გარდა თბილისისა, ესტუმრნენ მცხეთას, თელავს, საგარეჯოს, სადაც დაათვალიერეს სასოფლო-სამეურნეო ობიექტები და გარკვეული წარმოდგენა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა და განსაკუთრებით ქალთა თავდადებულ შრომასა და მოღვაწეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ მერკვილაძე

# „ეს სასწაულმოქმედი ქალები“

რეპორტაჟი გაერთიანება „აზოტიდან“

საზომ-საკონტროლო აპარატმა შენაერთში წყალბადის ნაკლებობა აჩვენა. ქიმიკოსებმა იციან, რომ ამას, ჩვეულებრივ, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა მოჰყვება. ნინო გორგაძე უმალვე ტელეფონით უკავშირდება მეზობელ საამქროს:

— წყალბადის რაოდენობა 50 პროცენტამდე ჩამოვიდა, მიიღეთ ზომები მისი ნორმამდე აყვანისათვის... 10-15 წუთი და ყველაფერი გასწორდა, არადა რაოდენ დიდ უსიამოვნო შემთხვევასთან ექნებოდათ საქმე...

ნინო გორგაძე რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მე-3 სინთეზის საამქროს მეაპარატეა. აქ, ამ საამქროში წყალბადისა და აზოტის ურთიერთმოქმედებით იღებენ ამიაკს, რომელიც შემდგომი ტექნოლოგიური გადამუშავებისას იქცევა კრისტალად და ასე მიიღება მინერალური სასუქი — ამიაკის გვარჯილა. და ახლა ათასობით საკოლმეურნეო ფართობი საქართველოში, აზერბაიჯანსა თუ სომხეთში სწორედ რუსთავის მინერალური სასუქებით ნოყიერდება და ამდენად ამ სასიკეთო საქმეში სხვა ქართველ ქიმიკოსებთან ერთად ნინო გორგაძის მადლიანი ხელიც ურევია.

ნინო გორგაძე საწარმოში მესამე თაობის წარმომადგენელია. პირველად იმ ტიპის აპარატებს, რომლებსაც ახლა იგი ემსახურება, მრავალი წლის მანძილზე სახელმოხვეჭილი ქიმიკოსი, ამჟამად უკვე ვალმოხდილი, სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქაჯაია დატრიალებდა თავს. სწორედ ვერა ქაჯაიას დამსახურებაა, რომ მომდევნო თაობები არ ღალატობენ ტრადიციას და ყოველთვის სანიმუშონი და მოწინავენი არიან.

მახსოვს, ერთხელ, ეს ოციოდე წლის უკან იყო, ვერა ქაჯაიას თავის სამართავ პულტთან ვეწვიე. განმაცვიფრა მაშინ მისმა სიმაცემ, ინტელექტმა (მხედველობაში მაქვს საწარმოო პროცესების ზედმიწევნით კარგად ცოდნა). გამოვაქვეყნე კიდეც ნარკვევი რესპუბლიკის მეთაურ გაზეთში. და რაოდენ გამიხარდა, რომ დღეს ვერა ქაჯაიას დაწყებულ საქმეს წარმატებით აგრძელებენ ნინო გორგაძე და სხვები — ასევე სალი აზროვნებისა და გონების ქალები.

სინთეზის № 3 საამქრო თავისი წარმადობით არ ჩამოუვარდება გაერთიანების არც ერთ უბანს. აქ ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებულან გოლიათი მანქანა-დანადგარები. მათი შეუფერხებელი და ზუსტი მუშაობის რეგულირებისათვის საკმაოდ გრძელი კედლის გაყოლებაზე მოთავსებულია საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები. ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, განსაზღვრავს აირის რაოდენობას კოლონებში, მეორე — ამიაკის დონეს, მესამე — ტემპერატურის ცვალებადობას, მეოთხე — წნევას და ასე შემდეგ.

საგულისხმოა, რომ ამოდენა დანადგარმოწყობილობების რიტმულ მუშაობას ცვლის განმავლობაში მხოლოდ ათამდე მეაპარატე წარმართავს.

ნინო გორგაძეს უყვარს თავისი საამქრო და დღენიადაგ ზრუნავს მისი კეთილდღეობისათვის. ხანი ისე არ გავა, რაიმე საინტერესო წინადადებით არ მიმართოს ხელმძღვანელობას. იმ დღესაც ასე იყო. შეალო თუ არა საამქროს უფროსის სამუშაო ოთახის კარი, საუბარი იმით დაიწყო, რომ კოლონებზე როგორმე ტემპერატურის ავტომატურად დარეგულირების საკითხი მოეგვარებინათ. ეს სიახლე იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ 10-15 პროცენტით გაიზარდა დანადგარების წარმადობა.

— წინათ ცვლაში 160 ტონა ამიაკის სითხის მიღებაზე ოცნებობდნენ, — ამბობს ნინო, —ახლა კი 260-280 ტონის მიღება ჩვეულებრივი ამბავია. აი რა შეუძლია ადამიანის ნიჭსა და გონიერებას, როცა ყველაფერი ეს საქმის საერთო ინტერესებს ხმარდება.

საწარმოო გაერთიანების პოლიტგანათლების კაბინეტში რომ შეხვალთ, თქვენს ყურადღებას სტენდები იპყრობს. ერთერთი მათგანი: „საწარმოო გაერთიანება „აზოტი“ XII ხუთწლედში“, იტყობინება, რომ 1985 წელს გაერთიანებამ 78,8 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია აწარმოა. 1990 წელს კი ეს ციფრი 154 ათას მანეთამდე გაიზრდება, ამიაკის, კაპროლაქტამის და სხვა ქიმიური პროდუქციების გამოშვება შესაბამისად გადიდდება.

„აზოტის“ პირველი რიგი ამ ოცდაათი წლის წინათ ჩადგა მწყობრში. აქედან მოყოლებული საწარმო სულ უფრო შლის მხრებს და იზრდება. სამი ათეული წელი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ საწარმოში სამუშაოდ მეოთხე თაობა მოსულიყო. თუმცა აქა-იქ კიდევ შემორჩნენ ოქროს ფონდის პირველი წარმომადგენლები. სხვანაირად არც შეიძლება. მასწავლებელი და დამრიგებელი, რაც არ უნდა ღრმა ტექნიკური ცოდნით შეიარაღებული თაობა გვყავდეს, მაინც საჭირო და აუცილებელია.

წარმოებაში დასაქმებული 2.500 ქიმიკოსი ქალიდან ძნელია ყველა ჩამოთვალო, თუმცა მათი უმეტესი ნაწილი ნამდვილად რომ იმსახურებს შექებას. ამდენად, მოდით, ასე შევთანხმდეთ: ის, რასაც ვიტყვით ზოგიერთზე, მეტნაკლებად მიესადაგება დიდი კოლექტივის თითოეულ წევრს.

იზოლდა ნარიმანიშვილს ყველა იცნობს და პატივს სცემს საწარმოში. იგი დიდი ხანია მუშაობს ტექნიკური კონტროლის უფროსად. თუ რა რთულ საქმეს ემსახურება, უბრალოდ თანამდებობის დასახელებიდანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო გორგაძე



სინთეზის მეაპარატე ნ. გორგაძე, განყოფილების უფროსი ნ. მარტინენკო და სამართავი პულტის მე-აპარატე ნ. გაჩეჩილაძე

ჩანს. დიდია ქარხანაში მისი ავტორიტეტი-ცა და პირადი წვლილიც.

ახლა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდა-ტი თალიკო დვალი დავასახელოთ. ცენტ-რალურ ლაბორატორიას, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მეორენაირად საწარმოს თვალს უწოდებენ. მისი კარგი მუშაობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საწარმო-ში მაღალხარისხოვანი პროდუქციის გა-მოშვებას. ამიტომაც ყველა ერთხმად აღია-რებს, რომ ქალბატონი თალიკო თანამედ-როვე ტიპის ხელმძღვანელია.

ასევე ემაყება კოლექტივს, რომ ისეთ რთულ უბნებს, როგორიც არის წარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, პროფ-კავშირის საქარხნო კომიტეტი, კადრების ტექნიკური მომზადება და იურიდიული სამ-სახური, მეთაურობენ საყოველთაოდ გამორ-ჩეული ქალები ანა როსტიაშვილი, გულიკო მანჩხაშვილი, სვეტლანა ნიბლაძე და იამზე გეგუჩაძე.

სულ ახლახან სასიხარული ცნობა მო-ვიდა მოსკოვიდან. ანონის საამქროს ინჟი-ნერ-ქიმიკოსმა თამარ აბულაძემ გაიმარჯვა ცვლებს შორის გაშლილ საკავშირო სოცია-ლისტურ შეჯიბრებაში და ფულად პრე-მიასთან ერთად მინისტრის მადლობა დაიმ-სახურა.

— ეს მარტო ჩემი კი არა, მთელი საამ-ქროს მუშაობის დიდი შეფასებაა, — გვითხ-რა თამარმა და იქვე დაურთო, — მოპოვე-ბულ წარმატებას უფრო განვამტკიცებთ.

საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ მარლენ ლაბაძემ და პოლიტგა-ნათლების კაბინეტის გამგემ მიხეილ მუმ-ლაძემ, ვისთანაც ერთად დავათვალიერეთ საამქროები, საჭიროდ ჩათვალეს დაესახე-ლებინათ კიდევ მრავალი მოწინავე ქალი, რომლებიც თვალისჩინივით უფრთხილდებიან მშობლიური საწარმოს ღირსებას.

და მართლაც, ნონა აბრამიშვილი რომ სახელოვანი გოგონაა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი როგორც დელეგატი, მონაწილეობ-და საქართველოს ალკკ XXXIII ყრილობის მუშაობაში. არც მეაპარატეებს ცირა მერა-ბიშვილს, ნარგიზა ყაველაშვილს და ლეილა ნოზაძეს აირჩევდნენ საქალაქო საბჭოს დე-პუტატებად, რომ მათი გვარები არ ამშვენებ-დეს ქარხნის მოწინავეთა დაფებს.

თუნდაც ლარისა ბუდაკოვა ავიღოთ. მას ტოლი არა ჰყავს ამონის საამქროში. არ შემცდარან თანამოსაქმენი, როცა მოწინავე მეაპარატეს ხმა მისცეს, რათა იგი საქართვე-ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აერჩიათ. დეპუტატს კი ტყუილუბრალოდ არ ირჩევენ. და მართლაც, მისი დაუინებული თხოვნითა და პირადი ინიციატივით, ვინ მოთვლის, რამდენი სასიკეთო რამ გაკეთდა მშობლიური საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კულტურული თუ საყოფაცხოვრებო პირო-ბების გაუმჯობესებისათვის.

ახლა საწარმოო გაერთიანება „აზოტში" ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გარ-დაქმნისა და დაჩქარების საქმეს კაცებთან ერთად აქტიურად წარმართავენ ქალებიც. სწორედ მათ მიერ საგანგებოდ განხორციე-ლებული ღონისძიებების შედეგად მინიმუ-მამდე დავიდა სამუშაოზე დაგვიანებისა და გაცდენის შემთხვევები, ამაღლდა მოვალეო-ბისადმი პერსონალური პასუხისმგებლობა. ბევრი ქალი, რომელმაც ადრე გული აიც-რუა და მიატოვა წარმოება, ისევ დაბ-რუნდა თავის მშობლიურ აპარატთან. ყო-ველივე ამან თავისი შედეგიც გამოიღო: წი-ნათ ჩამორჩენილი საწარმო, დღეს მოწი-ნავეთა რიგებში დგას. ხუთი თვის გეგმის გადამეტებით სახელმწიფომ მისგან ასობით ტონა ზეგეგმიური მინერალური სასუქი და კაპროლაქტამი მიიღო.

...ჩვეულებრივ შრომითს ვახტზე დგას მეა-პარატე ნინო გორგაძე. იგი გულისყურით ადევნებს თვალს აპარატებზე გამოსახულ ციფრებსა და აი, შენიშნა კიდეც, რომ ტემ-პერატურა 400 გრადუსზე ჩამოვიდა.

— მაშასადამე, კოლონა გადაიტვირთა აირით, საჭიროა მისი განტვირთვა. რამდე-ნიმე წუთიც და ყველაფერი წესრიგშია. მაგ-რამ ახლა შეიძლება სხვაგან იჩინოს თავი მსგავსმა შემთხვევამ...

ასეთ დაძაბულ, მაგრამ საინტერესო შრო-მაში მიდის დრო. თაობებს თაობები ცვლიან. ესტაფეტა კი ხაიმედო ხელშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული



# წარმოება — სამეურნეო ანგარიშზე

ვიდრე ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატის მუშაობას ახლოს გავეცნობოდით, მის შესახებ მხოლოდ ერთი რამ ვიცოდით — შარშანდელი მაჩვენებლებისათვის იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს.

* * *

ალაყაფის კარი მძიმედ გაიღო და ჩვენს წინ თითქმის ცამდე აწვდილი ვეებერთელა საცავი კოშკურები (რეზერვუარებს რომ წააგავს), მწყობრში მიჯრილი გიგანტები წამოიმართნენ.

დირექტორი გ. ფოცხვერაშვილი და მთავარი ინჟინერი რ. ნატროშვილი მოვიკითხეთ. მაძიებელი ბუნების მუშაკებიაო, — გვითხრეს გაერთიანებაში. გარდაბანში, დამხმარე მეურნეობაში გახლდნენ, ინკუბატორის ექსპლოატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით. როგორც პარტბიუროს მდივნის მოადგილესთან ტრისტან ქველიძესთან საუბარში გამოირკვა, გარდაბანში კარგა მოზრდილი სათბური და მეღორეობის ფერმა ჰქონიათ მუშა-მოსამსახურეთა სასადილოს მოსამარაგებლად.

— გამოცდილი, ენერგიული და საქმის მცოდნეა ტრისტანი. თხუთმეტ წელზე მეტია ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას, უნარი შესწევს ახლებურად, გარდაქმნის შუქზე იმუშაოს, — ახასიათებენ კოლეგები.

კომბინატი 1936 წელს ამოქმედებულა. მაშინ მარტო თივას აწარმოებდნენ თურმე, მოგვიანებით მის ბაზაზე კომბინირებული საკვების ვეებერთელა საწარმო წამომართულა, რომელიც ყოველდღიურად 250 ტონაზე მეტ საქონლის საკვებს ამზადებს. — ამ ვეებერთელა საცავებს რომ ხედავთ, კომბინატის ტერიტორიაზე ფეხის შე-

ლაბორატორიის უფროსი ზ. კვიმსაძე (მარცხნივ) და ქიმიკოსი მ. პოლოსიანი

დ. იაკობაშვილის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა



წისქვილის საამქროს მუშა ნ. ვარდიაშვილი

მოდგმისთანავე რომ გეცემათ თვალში, სულ მზა პროდუქციით და ზოგიც მისი შემცველი სხვადასხვა ნედლეულით არის პირთამდე სავსე, — გვიხსნის ტრისტანი. ყუათიანი საკვების მისაღებად საჭიროა: ქერი, ხორბალი, სიმინდი, საკვები საფუარი, შროტი, სორგო, ბალახის ფქვილი, ცარცი, ფოსფატი. ასეთი მრავალფეროვანი რეცეპტურის ზუსტი დაცვით შეზავებული კომბინირებული საკვები ხელს უწყობს საქონლის წონაში მატებას, ზრდის წველადობას და აუმჯობესებს რძის და ხორცის ხარისხს. კომბინატში ხუთი საამქროა: კომბინირებული საკვების, წისქვილის, კარბამიტის (კონცენტრატის), პრემიქსისა და ტარის დამამზადებელი. დიდი მოთხოვნილება აქ დაფქვილ სიმინდის ფქვილზე, იგი იაფფასიანია და მყიდველისათვის ხელმისაწვდომი.

ნედლეულის მუდმივი მომწოდებელი არიან რესპუბლიკის რაიონები, რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკა, ასევე, ამერიკა, კანადა და ინგლისი. პროდუქციით კი ძირითადად საქართველოს 20-ზე მეტი რაიონი მარაგდება.

მზა პროდუქციის მაღალი კვებითი ღირებულება მისი კალორიულობით გამოიხატება, რაც უპირველესად საკვების დამზადების ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვაზე, მარცვლეულის ხარისხზე, ჯიშზე, ნაცრიანობაზე და სინესტეზეა დამოკიდებული. ამის მაკონტროლებელია ის ოცკაციანი ლაბორატორია, რომელსაც გამოცდილი ლაბორანტი ზაირა კვიმსაძე ხელმძღვანელობს. კვალიფიციური ტექნოლოგების — ნინო ღონღაძის, გულიკო შერვაშიძის, ელიკო ბუცხრიკიძის, მარინე პოლოსიანის და სხვათა პროფესიონალურ ოსტატობასა და კეთილსინდისიერებაზე ბევრად არის დამოკიდებული მზა პროდუქციის ვარგისიანობა. ყოველ ორ საათში იღებენ და აკონტროლებენ სინჯს, რათა რეცეპტურით დადგენილი ნორმები ზუსტად დაიცვან. მანქანა-დანადგარები მოძველდა, გადახალისებას და ახლით შეცვლას მოითხოვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ წარმოებას გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს ან რეკლამაცია მიეღოს.

უნარიანი, გაბედული ხელმძღვანელი მუშაკები იყენებენ წახალისებისა და პირადი დაინტერესების მასტიმულირებელ სხვადასხვა ფორმებს, ბევრს ფიქრობენ თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. ამის დასტურია კეთილმოწყობილი სასადილო, ბაგა-ბაღი, საშხაპე, სააბაზანო; დასასვენებელი სახლები კიკეთში, ურეკში და ბაკურიანში.

წარმოება თანდათან ბრიგადულ სისტემაზე გადადის, იგეგმება სამეურნეო ანგარიშზე. შედეგი სახეზეა — იმატა თითოეული მუშის შრომითმა შემოსავალმა, მაღალპროდუქტიულობამ, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობაც შესაბამისად იზრდება. საწარმოს მიღწევებში დიდია ქალების როლი, რომლებიც გარჯითა და მუყაითი შრომით ტოლს არ უდებენ კაცებს. მათ შორის გამოირჩევიან პარტიის 26 კომისრის რაიკომის წევრი ანა ლუკიაჩენკო, თამარ დანილოვა, ნინა ვარდიაშვილი და სხვები.

კომბინატმა ექვსი თვის გეგმა-ვალდებულება 21 ივნისისათვის შეასრულა. აქაურები წლევანდელი გეგმა-ვალდებულებების შესრულებას 20 დეკემბრისათვის ვარაუდობენ, მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმის შესრულებას დიად თარიღს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს უკავშირებენ.

საწარმო ოდითგანვე მოწინავეთა მწყობრში იდგა, ასეა კვლავაც.

ახლახან წარმატებით დაინერგა ერთი სიახლე— მას „კოოპერატივი — თავთავი" უწოდეს. ტარის დამამზადებელ საამქროში ქაღალდის დიდი ზომის პარკები მზადდება, მისი ჩამონაჭრები კი, რომლებიც წინათ იყრებოდა, სხვადასხვა ზომის პარკისათვის გამოიყენეს. მათზე დიდი მოთხოვნილებაა სავაჭრო ორგანიზაციებში, გასტრონომებსა და განსაკუთრებით, საკოლმეურნეო ბაზრებში. შემოსავალმა არც თუ ისე ცოტა თანხა შეადგინა და იგი საწარმოს და მის მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობას მოხმარდება.

ნინო არჩვაძე,
თსუ მე-5 კურსის სტუდენტი.

ნაზი კილასონია

## ფიქრი სვანეთზე

ეს რამდენი კვირაა
გული ამ ფიქრს დაება:
გიფარვიდეთ კვირია —
გაზაფხულის ღვთაება!
ზვავებმა და ჯანღებმა
აიღეს და მომწამლეს:
სისხლმა ხომ არ დაღება
სეტის მთავარმოწამე?
გულო, ასე უძლებო
ეს რა ჩამომირიგე,
განა აღარ გიძლვება
ივლიტა და კვირიკე?
„ქერახს"! — სანთლის კონები
ლიცლიცებდეს ლაგურკას,
ამას არ ვიგონებდე —
სევდის ტბორი დამღუპავს:
ფიქრნი მკლავენ ბოლომდის
და ზეცამდე მიქრიან:
ხომ არ გაგაბოროტე
შემღვრეულო სტიქია?
იქნებ ცოდვის ზარია,
იქნებ ჩემი ბრალია,
დიდგულობის ზვავია,
ცდომილების ქარია?
ჩემო მცველო კლდეკარო
როგორ გამოგიმეტე?
გულზე მიწა მეყაროს
თუ დავწურავ იმედებს.
დაე, იმერ-ამერით
გადაურჩეს მირაჟებს,
უღალატო გამვლელი
მზე-მნათობის წინაშე!
შდულ ქონგურის წყაროსთან
თეთრი ჩიტი გალობდეს,
მტერი არა ხარობდეს,
სვანი ისევ სვანობდეს!
ოი, მთის ანგელოზო,
მაგ გრიალა ზარებით
კვლავ გემზეოს
გელოცოს
ერთგულება სვანების!
სვანი ჯერ არ დახრილა,
არც დაგტოვებს ოდინდელს,
ამინ! შენს დაძახილზე
ქუდზე კაცი მოვიდეს!
გმზერდეთ ყოვლის მხარეთი
გადარჩენილს წვალებით,
კვლავ ბრწყინავდეს სვანეთი
თამარელას თვალებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ცდუნება

ნოველა



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

— საქმე ახლა ეს? — ამბაკომ საათზე დაიხედა, ხელი ხელს გაუტყაპუნა, ჭილოფის ქუდი იშვლიპა, ნერვიული ნაბიჯით მიუახლოვდა დათვის გაფარჩხულ ფიტულს, ქუდი თავზე ჩამოამხო, მაგრამ ულვაშა ფოტოგრაფის გაოცებულ მზერას რომ წააწყდა, მოხადა, იხტიბარგატეხილმა მიმოიხედა, „რაფისკენ“ წამოვიდა და მანქანაში მთვლემარე ქალებს ჩასძახა: — რას გვიშვრება დარიკო, ხედავთ თქვენ?! სამი ხდება, ის ხალხი სადილად გველოდება.

ქალებმა ერთხმად ამოიოხრეს. ზოგ მათგანს სურდა ეთქვა: „მართლაც, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, რას ვანერვიულებთ ამ კაცსო“, ან „სინდისიც კარგი საქონელიაო“, ან სულაც „კულტურის ამბავია ყველაფერიო“, მაგრამ, ამჯერად, უსიტყვო ამოოხვრით იმიტომ დაკმაყოფილდნენ, რომ დარიკოს ყბაში ჩავარდნა არ სურდათ.

ეს ამბავი ქალაქ საჯიჯიაში ხდება. გულსუსტ და ავძილიან მკითხველს წინასწარ ვაუწყებ, რომ სანერვიულო არაფერია; ნოველაში ჩვეულებრივ, ყოფაცხოვრებით დრამას გავათამაშებ, იმდენად ჩვეულებრივს, რომ მძაფრი ქარტეხილებით აღტკინებული მკითხველი გაიკვირვებს კიდეც ამ სოციალური გარდაქმნებისა და ატმოსფეროს გასუფთავების პერიოდში ამისთვის მოიცალა რ. მიშველაძემო?

გუშინ ჩამოვიდა საჯიჯიაში ოფურჩხეთის ჩაის გადამწონი ფაბრიკის დელეგაცია. დელეგაციას პრესტიჟისთვის ვამბობ, თორემ, სინამდვილეში მის წევრებს (ხელმძღვანელი — ამბაკო, წევრები: დარიკო — მწონავი, ნათელა — მწონავი, ცარო — მწონავი, ალაზა — წუნმდებელი), ღმერთო შეგცოდე, საექსკურსიო-სანახაობრივი მიზნები უფრო ამოძრავებთ, ვიდრე გამოცდილების გაზიარებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხერხების შესწავლა.

ამ ორმოცი წუთის წინ სასტუმროდან გამოვიდნენ, რესტორან „მხოლოდ წვენში“ მასპინძლები მეგობრულ სადილს უმართავენ. გზად ქალაქის მთავარი უნივერმაღი — „ცოტ-ცოტა ყველაფერი“ შენიშნეს, დარიკომ სთხოვა დელეგაციის თავს: „ხუთი წუთით შევაჩეროთ, გოგომ რაღაცა დამავალა და ვიკითხავ, თუ არისო“. ამბაკომ საათზე დაიხედა, დროში, მაინცდამაინც არ იწვებოდნენ და დიდსულოვნად დათანახმდა. აქ მოხდა, ცოტა არ იყოს, არაკოლეგიალობის გამოვლინება ქალთა შორის. დარიკოს მხარი არ აუბეს. ვინ იცის, იქნებ მართლა არაფერი ჰქონდათ საყიდელი, ან, იქნებ დარწმუნებული იყვნენ, რომ საჯიჯიას უნივერმაღშიც ის ფართო ასორტიმენტის, მაგრამ უვარგისი საქონელი იქნებოდა, რაც ოფურჩხეთის მაღაზიებში იყო, ან, იქნებ, ხუთი წუთით უნივერმაღში შერბენის ნებართვა შეურაცხყოფად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ, რათა ეს უარი სხვა დროს მაღაზიებში დიდხანს დასარჩენად გამოეყენებინათ. მე ვერცერთი ამ მიზნების დაბეჯითებით დაცვას ვერ შევუდგები, მაგრამ ეს ბოლო უფრო სარწმუნოა. მარტო შევიდა დარიკო უნივერმაღში და, აგერ სამი ხდება, არ გამოდის. აი, რა ანერვიულებს ამბაკოს. ხომ გითხარით, გულისგასახეთქი არაფერი მოხდება მეთქი.

სექტემბერი კარგა ხანია დადგა, მაგრამ არა თუ აგრილდა, სიცხემ იმატა და საჯიჯიას მოსარკული, გამშრალი ზეცა დაჰყურებს თვეზე მეტია.

ხვატისგან ათართალებულ ჰაერში რადიოს გამამხნევებელი მარში გაისმის და საზეიმო ხმა რომ არ იყოს, მოქალაქეებს ზეზეურად ჩაეძინებოდათ.

დათვის ფიტულსა და „რაფს“ შორის მეთერთმეტე მიმოსვლაზე, ამბაკომ მანქანაში შემოყო თავი და ალაზას მიმართა:

— ალაზა, შედი ერთი, თუ ქალი ხარ. გვაგვიანდება-თქო უთხარი. იმ კაიდედმამიშვილს.

ალაზამ მარაო დაკეცა, ხელჩანთაში ჩაიდო და მოწყენილი სახით წამოდგა. ასეთი სახე მაშინ აქვთ ქალებს, როცა გარეგნულად „ვითომც აქ არაფერიას“ გამოხატავენ, გულის სიღრმეში კი უხარიათ, რომ სხვებისგან გამოარჩევენ ხოლმე და ძნელ, საპასუხისმგებლო საქმეებს აკისრებენ.

წუნმდებელმა მალე იპოვა „დამნაშავე“. დარიკოს ტყავის სუროგატისგან შეკერილი, გრძელიარლიყიანი შავი პიჯაკი ჩაეცვა და სარკის წინ გულმოდგინედ ცდილობდა თავისი კოხტა ტანის ის ნაწილები დაენახა, რომელსაც ადამიანები უსარკოდ ვერ ხედავენ და სარკის დახმარებითაც ცოტა ძალა როდი ადგება ხოლმე მათი კისრის მალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დარიკო!

— ბატონო, — მშვიდზე მშვიდი ხმით გაეპასუხა დარიკო, ისე რომ სარკისთვის თვალი არ მოუცილებია.

— გვაგვიანდება სადილზე. ამბაკომ ამ წუთში გამოვიდესო.

— შეხედე ერთი, ჩაიცვამს ამას ჩემი გოგო? — ყველაფრიდან ჩანდა, რომ დარიკო ამბაკოს დანაბარებმა ოდნავადაც ვერ აალელვა.

— რა ვიცი... შემობრუნდი. სრულებს იცვამს საერთოდ? სრულებია ახლა მოდაში.

— რა ვიცი, ნეტავი წამომყოლოდა თვითონ. შარის თავი მაქვს მეე? რომ არ ჩაიცვას? მე შენ გეტყვი, იაფი ღირს.

— რა ღირს?

— სამოცდახუთი.

— არაა ძვირი. სამოცდახუთად ამნაირ პიჯაკს შეკერვითაც არავინ შეგიკერავს. ერთს გეტყვი მე შენ...

— ჰო, — სმენად იქცა დარიკო. ასეთ შემთხვევაში მყიდველ მკითხველს კარგად მოეხსენება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გონივრულ რჩევას.

— იყიდე და, თუ შენს გოგოს არ მოერგო, შენ ჩაიცმევ, კუკლასავით გაქვს ტანზე.

— ბეჭებში ცოტა ფართო არ არის?

— ასე უნდა იყოს. გემრიელი სახმარი იქნება.

— ისე კი, თავისუფლად მაქვს, მარა ჩემთვის ამდენ ფულს ვერ გავიმეტებ, მერე იმისთვის უკეთესი რამე რომ შემხვდეს, ფული აღარ დამრჩება.

— რა ვიცი, მე ასე მირჩევია და... — ალაზას როდი გადაავიწყდა რა საქმეზე იყო მოსული. უბრალოდ, ზედმეტად ჩათვალა ახლა დარიკოსთვის აქ შემოსვლის მიზანი შეეხსენებინა, მითუმეტეს, რომ გულწრფელად თანაუგრძნობდა არც თუ იოლი პრობლემის წინაშე მდგარ ქალს.

— ალაზა, — დარიკომ პიჯაკი გაიხადა და გაუწოდა, — ჩაიცვი ერთი, შენ ჩემზე მაღალი ხარ და უფრო გამართავ. ჩაიცვი, ნახე, არ ღირს ამის ხელიდან გაშვება. ჩვენთან ერთ დღეს არ გააჩერებენ ამას. იმ წუთში დაიტაცებენ სპეკულანტები და მერე ათმაგად მოგყიდიან.

ალაზამ გამოართვა, ჯერ იარლიყს გაეცნო, მერე ჩაიცვა და სარკეს მიაჭიჭინდა. დარიკომ ერთი-ორი გამამხნევებელი და აღტაცების გამომხატველი სიტყვა უთხრა წუნმდებელს, მაგრამ რაკი შეატყო, რომ ალაზა ყიდვის ასე სწრაფად გადამწყვეტი არ იყო და პიჯაკს ვერც გასახდელად ელეოდა, მეგობარი სარკეს შეატოვა და მარცხნივ, ტრიკოტაჟის სექციისკენ გააბიჯა.

გარეთ კი ძველებურად ცხელოდა და, რაც უფრო გულისმომკვლელი იყო, დრო ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გადიოდა.

ზურგის ქვემოთ ხელებდაწყობილი ამბაკო ბუტბუტით დააბიჯებდა წინ და უკან. თავიანთ აბურდულ საქმეებზე მიმავალი მოქალაქენი წამით შეჩერდებოდნენ, მოუხედავდნენ კისერგაჩიკინებულ, ვაგლახად აბუზღუნებულ მამაკაცს და უსიტყვოდ განაგრძობდნენ გზას, რადგანაც ჯერ ერთი, სხვის ცხოვრებაში ჩარევა უტაქტობად მიაჩნდათ და მეორეც, ამბაკოზე უფრო შავ დღეში ჩავარდნილიც ბევრი ენახა მათს ფხიზელ თვალებს.

დელეგაციის თავმა კვლავ შემოყო მანქანაში თავი, ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირპირი შეიმშრალა და წელანდელზე უფრო ჩუმი, მაგრამ უფრო დრამატული ხმით ჩაილაპარაკა:

— საქმეა ახლა ეს? გახდა ოთხი საათი. ყველაფრით ჩვენ უნდა გამოვირჩეთ მაინცდამაინც? რას იტყვის ის ხალხი. ქემაინც არ დამერეკა, გამოვდივართ-მეთქი. ალაზას მაინც რა დაემართა. შედი ერთი, ცარო. არ მოგიცდიან არც ერთ წუთს-თქო. თავისი წესი და ხილამაზე აქვს ყველაფერსთქო, გესმის შენ, ცარო? — ეს ბოლო რვა სიტყვა ამბაკომ გასასვლელისკენ მტკიცე ნაბიჯებით მიმავალ ცაროს დააწია.

უნივერმაღის კარებთან მწონავი პალმისვარცხნილობის მქონე, აგურისფერკაბიანმა, ტანსრულმა დედაკაცმა გააჩერა: შენი სარგო ჩექმები მაქვს, თეთრი, იუგოსლავური. ფსკოვიდან ქმარმა ჩამომიტანა, მაგრამ არ მომერგო, მიჭერს. იმასაც ხელზე აქვს ნაყიდი. კაპიკი ზედმეტი არ მინდა, რაც ჩემს ქმარს მიუცია. იმ ფასად დაგითმობო.

— რა ნომერიაო, — ცალყბად ჰკითხა ადევხებულ ქორვაჭარს ცარომ.

ჩექმები ოცდათექვსმეტნახევარი აღმოჩნდა, ვისაც ოფურჩხეთის სავაჭრო ცენტრში გაუვლია, დამეთანხმება, რომ ოცდათექვსმეტნახევარი ზომის, თეთრი, იუგოსლავური, ქალის ჩექმა ცენტრსა და მის მიმდებარე მაღაზიებში ამ ბოლო ორ დამკვრელურ ხუთწლედში არ გაჭაჭანებულა.

ცდუნება დიდი იყო. „თუ მომერგო და მთლად უსაშველო ფასი არ მთხოვა, აუცილებლად ვიყიდიო“, გაიფიქრა ცარომ და სხვისი ხმით გადაულაპარაკა:

— მაჩვენე ჩქარა. არ მცალია გასაჩერებლად.

კიბეს მოეფარნენ. ცარომ ჩანთიდან გაზეთი ამოიღო, ძირს დაიფინა, ლურსმანქუსლიანი ტუფლები გაიხადა და მშვენიერი თეთრი ჩექმები ჩაიცვა. იუგოსლავური ნაწარმი ფეხზე არა თუ არ უჭერდა, ოდნავ სრულიც კი ჰქონდა, მაგრამ გარეგნულად აღტაცება არ გამოუხატავს, იცოდა, რომ როგორც კი სპეკულანტი სახეზე კმაყოფილებას შეგატყობს, საქონელს ნავარაუდევზე ორჯერ უფრო ძვირად დაგიფასებს.

ცაროსა და პალმისთმოსან დედაკაცს შორის მორიგების ცბიერ და დამღლელ საუბარს არ გადმოგცემთ. დავტოვოთ ისინი უნივერმაღის კიბესთან კარგა ხნით. კარგა ხნით იმიტომ, რომ გული მიგრძნობს ფსკოვიდან ჩამოსული ქმრის ცოლს გასაყიდი (ვერმორიგების მიზეზით) ჩექმის გარდა სხვა რამეც აღმოაჩნდება.

დაახლოებით ოცდაცხრამეტი წუთის შემდეგ სიბრაზისაგან გაფითრებულ ამბაკოსა და უდანაშაულო ნათელას შორის ასეთი საუბარი გაიბა.

— ქვა მეკოდა და ვარცლით წყალი მეზიდა, ნაკვერცხალზე ფეხით მევლო და კუპრში მებანავა, არ ჯობდა ამას?

— რაზე ბრძანებთ, ამბაკო ბატონო? — განა ვერ ხვდებოდა ნათელა, რაზეც „ბრძანებდა“ ამბაკო, მაგრამ ისე, რომ იტყვიან, ყასიდად ჰკითხა.

— რავა მაჯობა ბუხაიძემ ჭკუაში, უყურებ შეენ? იცოდა, რას ნიშნავს ოთხი ქალის ჩამოყვანა საჯიჯიაში და იმათი უფროსობა. რავა გავბრიყვდი, რავა შევჯექი ვირზე.

— არ არიან, ღმერთმანი, ასე უპასუხისმგებლო ხალხი. სხვა დროს არ შემინიშნავს. ისე, ადამიანიშვილს რას გაუგებ... ფარსაგი არ ჭირდეთ, თორემ გამოვიდოდნენ აქამდე.

— ხუთი წუთით შევირბენო, ხომ გახსოვს, დარიკომ. ა, დახედე საათს რომელია. იმათ მაინც რა სნაკვი და ხუთვა ეცათ, თვითონ მაინც გამოედგათ ფეხი.

— ხომ გითხარით, რაღაცაშია საქმე-მეთქი, თორემ ცარო ისეთი პრინციპული ქალია, ბაწრით რომ დაებათ, არ გაჩერდებოდა...

გინებსთქო, უთხარი. ამ წუთში თუ არ გამოხვალთ-თქო, ხვალვე აგიკრავთ გუდანაბადს და ოფურჩხეთისკენ გიზამთ პირს-თქო. მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს-თქო.

— შედი ერთი და დალანძღე სამივე, თუ ქალი ხარ. გაჯორე სამივე, რავარც ეკადრებათ. კაცია, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეგვაგინებსთქო, უთხარი. ამ წუთში თუ არ გამოხვალთთქო, ხვალვე აგიკრავთ გუდანაბადს და ოფურჩხეთისკენ გიზამთ პირსთქო. მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვსთქო.

ნათელა წამოდგა და სამხედრო ნაბიჯებით გაემართა უნივერმაღის კარიბჭისკენ. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არა მარტო ამბაკოს დანაბარები ეთქვა წრეგადასული ქალებისთვის, თავის მხრივაც ზოგი რამ მწარე-მწარე დაემატებინა.

რაც შემდეგ მოხდა, უჩემოდაც მშვენივრად ხვდება მკითხველი. რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ნათელასაც შეიყოლიებს ის, რამაც მანამდე სამაიას დელეგაციის წევრის შინაგანაწესი ასე ულმერთოდ დაარღვევინა. სრულიად დამშვიდებულად შემიძლია აქ დავსვა წერტილი და დეტალების დაზუსტება მდიდარი ფანტაზიის მქონე ჩემს მკითხველს მივანდო, მაგრამ გული არ მაძლევს ორიოდე საფინალო სიტყვა არ მოგახსენოთ:

ხუთს აღარაფერი აკლდა, სასოწარკვეთილი და გამძვინვარებული ამბაკო მარტორქასავით რომ შევარდა უნივერმაღში და ზუსტად ექვსი იყო, იქედან რომ გამოვიდა ჩანთებიანი პატრონტაჟით, რეგლანსახელოებიანი პოლონური კვართით და ვერცხლისფერი პორტსიგარით ხელში.

სად იყვნენ ქალები? ოთხივენი გუგულებივით წყნარად ისხდნენ ავტობუსში და დელეგაციის თავს მშვიდი, უცოდველი სახეებით ელოდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისე აღზარდე შენ შვილის სული...

შალვა ამონაშვილი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი.

# ცემა?! — დანაშაულია!

ბავშვის ცემა რომ კანონით აკრძალულია, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ზოგიერთ მშობელს მაინც გაურბის ხელი შვილისაკენ სილის გასაწნავად, თან თავის მართლებასაც დაიწყებს: დააშავა და ვცემეო, ღირსი იყო და მივტყეპეო, ზოგჯერ ანდაზასაც მოიშველიებს: „შვილი მტრად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო“.

ნუ დაიჯერებთ, რომ ცემით გაზრდილი შვილი შენი მოყვარე იქნება, რომ ნაცემი ბავშვი თუ მოზარდი უფრო ზრდილი და გონიერი, კეთილი და გულისხმიერი კაცი დადგება!

არ ხდება ასე. ბავშვი, რომელიც ცემითა და ცემის შიშით იზრდება, მომავალში ან ბოროტი და დაუნდობელი გახდება, ან მშიშარა და უნიათო.

შემაზრზენი სანახავია გაავებული დედა, თუ მამა, საშიშია ასეთი მშობელი.

მინდა პირდაპირ მივმართო იმ მშობლებს, რომლებსაც ცემა შვილის აღზრდის მეთოდი ჰგონიათ.

რატომ სცემთ შვილს? ეს შვილის მომავალზე ზრუნვით მოგდით? გაწუხებთ მისი ბედი, გინდათ კაცად აქციოთ და ის კი არ გიჯერებთ? ჰო, ჩასჭიდე თმებში ხელი, გაულაწუნე ყბებში, აუჭრელე ქამრით რბილი ადგილები, ადინე ლაპალუპით ცრემლი, დააშინე, რომ მეორედ ვერ გაბედოს სიტყვის შემობრუნება, შენი განაწესის დარღვევა.

გავა წლები, გაიზრდება და დაგიფასებს ცემას? არა, არ დაგიფასებს შვილი ასეთ „ზრუნვას“. ბავშვი გახურებული რკინა კი არ არის, რომელსაც აქეთ-იქით მდგარი მჭედლები მორიგეობით ურტყამენ უროს, რომ სასურველი ნივთი გამოჭედონ.

ბავშვი ცოცხალი არსებაა, გულია. გრძნობა აქვს, აზროვნება, ცელქობაც უყვარს, ეშმაკობაც, გართობაც, ათასი სურვილი ებადება, დიდობას ესწრაფვის, დამოუკიდებლობა უნდა. ბავშვს ცვილივით ვერ დაიჭერ ხელში და ძერწვას ვერ დაუწყებ, ვერც ცარცით მიადგები, რომ გულის ფიცარზე შენი მცნებები დაუწერო. ბავშვს ხანგრძლივი მოთმინებით და რუდუნებით სჭირდება აღზრდა, თანაც გონივრული, ადამიანური აღზრდა და არა (მაპატიეთ) წვრთნა, როგორც მხეცს.

დაუფიქრდით ერთი, რას აშავებენ თქვენი შვილები ისეთს, რისთვისაც სასჯელის ყველაზე არაადამიანურ ზომას — ცემას მიმართავთ?

ბავშვმა ნივთი გატეხა და მეორედ რომ არ გაბედოს რაიმეზე ხელის ხლება, მიტყიპავთ.

ბიჭმა შინ მოსვლა დააგვიანა, ნერვიულობთ, რა იქნა, სად დაიკარგა? მოვა და არც გეუბნებათ სად იყო, ვისთან, — ცემაზე გადადიხართ.

ბავშვმა „ორიანი“ მიიღო და დაგიმალათ, გაკვეთილიდან გაიპარა და ესეც დაგიმალათ, მასწავლებელი გაჯავრდა... (მასწავლებელმა მაშინვე შეგატყობინათ) და რომ არ განმეორდეს ასეთი რამ, მშობლები ისევ მარჯვენა ხელის ძალას მიმართავენ.

ბიჭს ჯიბეში სიგარეტი აღმოაჩნდა, ფულიც ჰქონდა, საიდან, ვინ მისცა, როგორ გაბედა? და კვლავ გაავებული ყვირილი, ცემა...

ბიჭმა თუ გოგომ სწავლაზე გული აიცრუა, სასიყვარულო რომანებს კითხულობს, სარკეში იპრანჭება, უჩუმრად პაემანზე მიიპარება, და რომ გააგებინოთ ჯერ სიყვარულის დრო არ დასდგომია, ისევ ცემა, როგორც მისი მომავალი ადამიანური ცხოვრების წამალი...

სცემთ შვილს და გგონიათ, რომ ამით ჭკუას სწავლობს, კეთილ გზას ადგება, პიროვნებად ყალიბდება... სინამდვილეში კი შვილს ჰკარგავთ, იგი გულჩახვეული ხდება, უცხოვდება. ნაცემი შვილი არასდროს არ გაგიხსნით გულს. ბავშვი შეიძლება დააშინოთ და გამოვტეხოთ, ვათქმევინოთ ის, რაც არ უნდა ეთქვა... ან არ შეიძლებოდა ეთქვა. რატომ უნდა გაუმჟღავნოს შვილმა მშობლებს, ვინ მოიპარა საკლასო ჟურნალი, ვინ თქვა კლასში პირველად გაკვეთილებიდან გავიპაროთო? არ უნდა ეთქვა. დედამ კი იმდენი მოახერხა, რომ ათქმევინა და ამით თანაკლასელებს შორის შვილს სახელი და ღირსება შეულახა...

განა ამას შვილის მომავალზე ზრუნვა ჰქვია?

შვილებს ის მშობლები სცემენ, რომლებსაც ნამდვილი აღზრდისათვის დრო ვერ მოუნახავთ. ნამდვილი აღზრდა კი შვილთან მეგობრობით შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ სად „სცალია“ მამას შვილთან იმეგობროს! დაბრუნდა სამუშაოდან დაღლილი და დახვდა ამბავი, რომ ბავშვმა რაღაც დააშავა. ჰო, და მან ხომ უნდა ჩაუტაროს „გაკვეთილი“ — ცემის გაკვეთილი...

ოჯახში, სადაც შვილების ცემა წესად არის დამკვიდრებული, აღზრდის ყველანაირი საღი აზრი ფეხქვეშაა გათელილი. თუ მართალი გნებავთ, მეტსაც გეტყვით: მამა ან დედა, შვილს რომ სცემს, საკუთარ ნერვებს იმშვიდებს, ჯავრს იყრის... ცემა გაუაზრებელ „როგორ გაბედას“ ემყარება. აბა, გაჩერდი ერთი წუთით და გაიხსენე: შენ თავად როგორ და რატომ ბედავდი ხოლმე, როცა ბავშვი და მოზარდი იყავი? და იქნებ გაუგო შვილს, იქნებ სასაცილოდაც კი მოგეჩვენოს ასეთი რისხვის მიზეზი.

როცა რისხვა გონებას გაკარგვინებს, მაშინ შვილის გამეტებას არაფერი უნდა, მაშინ აღმზრდელი კი აღარა ხარ, არამედ შურისმაძიებელი, მაგრამ იცოდე, ამ წუთში თითქოს შვილსაც ეჯავრები, შენგან გაქცევას ნატრობს და შენგან გადაკარგვა უნდა.

შინ მოსვლა რატომ დაიგვიანეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მამამ შვილი გალახა. ნაცემი ბიჭი ოთახიდან აივანზე გაძევა და კარი ჩაუკეტა. შეურაცხყოფილმა (თანაკლასელ გოგონაზე შეყვარებულმა) ცამეტი წლის ბიჭმა კი უფრო მეტად დასაჯა მამა — მეცხრე სართულიდან გადახტა და ასფალტზე დაიმსხვრა. გონდაკარგული მამა დღემდე ყველას უმტკიცებს, რომ შვილისთვის სიკეთე სურდა.

...დედამ თანატოლებთან ფულის ქურდობაში ამხილა თერთმეტი წლის გოგონა და იქვე, ყველას დასანახად, სახეში გამეტებით გაარტყა გოგონამ იმ ღამეს იოდი დალია და... ძლივს გადაარჩინეს.

თექვსმეტი წლის ბიჭი შინიდან არის გაქცეული და მისი ადგილსამყოფელი ჯერაც დაუდგენელია! მამამ წინა ღამეს შვილს სილა გააწნა...

ბევრია ასეთი მაგალითი.

დედავ და მამავ! კარგად უნდა ჩაიჭედოთ გულში და გონებაში, რომ ცემით შვილს ვერ გაზრდით, ვერც სწავლას შეაყვარებთ, ვერც მოქალაქეობას ჩაუნერგავთ, ვერც მოყვრად გაიხდით. ცემა შიშსა და გაბოროტებას, პროტესტსა და უხეშობას ბადებს. ცემა ბავშვში შემოქმედებისა და მაძიებლობის უნარს ახშობს. ცემით გაზრდილ შვილს ადამიანთა მიმართ უნდობლობა აღმოუცენდება. მომავალში, როცა თავად გახდება მშობელი, თვითონაც დაუწყებს შვილებს ცემას...

მაშ რა ვქნათ, მკითხავს რომელიმე თქვენგანი, — შვილს დანაშაულზე პასუხი არ ვაგებინოთ? დანაშაულის გამო ყველამ უნდა აგოს პასუხი, მაგრამ ერთია დანაშაული, რომელსაც ბავშვი სჩადის, და მეორე, როცა დიდი აშავებს. დანაშაულებრივი სასჯელით — ცემით ბავშვის „აღზრდა“ სამარცხვინოა ჩვენს დროში!

როგორ მოიქცეთ?

ტაქტითა და სიფრთხილით მიუდექით ბავშვს, იმეგობრეთ მასთან. მონახეთ დრო, რომ უფრო ხშირად იყოთ მის გვერდით, გაიხადეთ გულის მესაიდუმლედ და მიაღწიეთ იმას, რომ თავადაც ნებით გაგიმჟღავნოთ გულისნადები.

იყავით მისთვის მაგალითი კარგი ადამიანობის, მოქალაქეობის, სიკეთის, ნუ ჩაიდენთ ისეთ საქციელს, რაც თქვენც და თქვენს შვილსაც ზიანს მოუტანს. მეგობრულად გაზრდილი შვილი მშობელსაც გამოადგება და ქვეყანასაც.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეზე ხელის შემართვა?

ამაზე საუბარი კი ზედმეტია, რადგან იგი მისთვის მხოლოდ დაუშვებული კი არა, დანაშაულია!

# შვილები დედების შესახებ

## დედაჩემი ნამდვილი გმირია

თორმეტი წლისა ვარ და ყოველ დილა-საღამოს ერთი საფიქრალი მაქვს. — როგორ მივეხმარო დედას!

სამი ძმანი ვართ. მამა რომ გარდაცვლილა, მე სამი წლისა ვყოფილვარ, მომდევნო ძმა — ერთისა, ჩემი პატარა ძმა მამის დასაფლავების დღეს გაჩენილა და მისთვის მამაჩემის სახელი — ლევანი დაურქმევიათ; ზოგიერთს დედაჩემისთვის ურჩევია: ეგ პატარა გააშვილე, ოცდასამი წლის ქალს გაგიჭირდება სამი შვილის გაზრდაო: — კრუხივით გადაგვფოფრია დედაჩემი, ყველაფერს გავუძლებ და შვილს გულიდან არ მოვიწყვეტო, ამაყად უთქვამს და... მართლაც რამდენ გაჭირვებას გაუძლო ჩემმა საყვარელმა დედამ.

...ერთხელ დიდი თოვლი მოვიდა, (მაშინ მეოთხე კლასში ვიყავი). არც პური გვქონდა, არც მჭადის ფქვილი. დედა ფილტვების ანთებით იყო ავად. ყველანაირად წუხდა და ლოგინში ვერ ისვენებდა.

მე წავალ წისქვილში-მეთქი, — ვუთხარი დედას. თვალზე ცრემლი მოერია. ცოტა ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა (წისქვილი ქალაქშია, ჩვენგან 5-6 კმ მოშორებით). შინ მოსვლა დამიგვიანდა. დედას ვერ მოუსვენია, ჩაუცვამს და ეზოს გარეთ შემომეგება. ფქვილით სავსე ტომრის გარდა მეორე ხელში 2 ცალი პური რომ მეჭირა, დედამ სიხარულით მითხრა: გენაცვალოთ დედა, ახლავე გაჭმევთ, მჭადი როდის გამოცხვებოდაო!

შეშაც არ გვქონდა, სიცივით ვიყინებოდით. დედამ იატაკის მასალიდან ერთი ფიცარი შემომატანინა, დავანთეთ ცეცხლი, შემოვუსხედით და ცოტათი რომ გავთბით, შვებით ამოისუნთქა, აწი რაღა მომკლავსო.

მამა არა გვყავს, მაგრამ დედაჩემმა მუდამდღე ქებით ისე შეგვაყვარა, რომ მის სურათს ცოცხალი ადამიანივით შევყურებთ.

ყველაფერს ხომ ვერ მოგიყვებით... ერთი რამ გულახდილად მინდა გითხრათ: დედიკოებისგან განებივრებულმა, ფუფუნებაში გაზრდილმა ყველა შვილმა მინდა იცოდეს, რომ ჩვენ ძალიან, ძალიან კარგი დედა გვყავს. მე ვუყურებ მათ დედებს, ვადარებ ჩემსას და გულში ვიტყვი ხოლმე: დედაჩემი გმირია, ნამდვილი გმირი!

ვლადიმერ გაგუა,
ა/კ რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშ. სკოლის მოსწავლე.

## პირველი წელი უშენოდ

ახლა გაზაფხულია...

თოვლის საფარქვეშ რახანია გამოჩნდა უნაზესი იები და ყოჩივარდები.

პირველად ვხვდებით გაზაფხულს უშენოდ, დედა! საოცრად ლამაზი ღიმილი ამშვენებთ ქალებს — დედებს, ბებიებს, დებს, მასწავლებლებს... 8 მარტს ულოცავენ და იისკონებით ასაჩუქრებენ. შენ ერთს ვერ დაგატკბობს მისი საამო სურნელი, თუმცა, შენც დაგიკრიფეთ იები, ლარნაკში სათუთად ჩავაწყვეთ და შენს სურათთან დავდგით. შენი საყვარელი ნამცხვარიც გამოვაცხვეთ... ქალებს ულოცავენ თავიანთ დღესასწაულს... ჩვენც მოგართმევთ იებს, დედიკო, ფრთამოტეხილი ბეღურებივით მოვალთ და ღიმილიანი სხივის ნაცვლად ცრემლი დაგვინისლავს თვალებს.

ახლა ჩიტები სხედან ჩვენს ფანჯარასთან და ისე ჭიკჭიკებენ, ასე მგონია, შენი ლოცვა-კურთხევა მოგვიტანეს ობლებს.

ვერც გაზაფხულს მოგახარებთ და ვერც 8 მარტს. ისე მოვალთ, ცრემლებს გაპკურებთ და გეტყვით: ვეცდებით ისეთები დავიზარდოთ შენი სოფიკო და თამრიკო, როგორიც შენ გაგიხარდებოდა, ვფიცავთ, საყვარელო დედა!

სოფიკო ლომთაძე,
ჩხარის საშუალო სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წაუკითხეთ პატარებს

## წიწილები

კრუხმა კარახკურიახმა
გამოჩეკა წიწილები.
უკვე საკენკს მიირთმევენ,
ლუნლულები, სხივილები.
იზრდებიან ვარიები,
ნაზები და კეკლუცები,
დეზმალალა ყვინჩილები,
ამაყები, ჩაუქები.
ერთმანეთი ისე უყვართ,
და-ძმობა აქვთ ისე ტკბილი,
უხარიათ ერთად ყოფნა,
სეირნობა, ერთად ძილი,
ჟღურტულებენ: ჟრჟოლა გვივლის
დედის გული როცა გვათბობს,
კიდევ კარგი, ინკუბატორს
რომ არ დავუჩეკივართო!

## დათო თვითმფრინავში

საჭვრეტელი პატარა
თვითმფრინავს აქვს ფანჯარა.
ხედავს დათო ფანჯრიდან:
შარაგზები გაწვრილდა.
მთები დაბლა რჩებიან.
აღარა ჩანს ბებიაც...

## ოთხი და-ძმის ამბავი

უფროსი ძმა ოტია
ონავარი როდია,
მოიშალა დათომაც
პატარების დატორვა,
ტარიელიც არ გახლავთ
ვველებურად ტრაბახა.
მინდა, რომ დაგარწმუნოთ,
ნინო საჭმელს არ წუნობს...
შრომა უყვართ ძალიან,
კეთილებიც არიან.

ალექსანდრე დიდებაშვილი

## კახა

მე კახაძე კახა ვარ
არაგველთა სოფლიდან.
და ხშირ-ხშირად თბილისში
სიხარულით მოვფრინავ.
მიყვარს სოფლის შარაგზაც,
ტანაყრილი ჭადრებიც,
ტოლ-სწორები არაგვთან
ცხენებს შემოვაჯდებით.
მივჭენაობთ, მივქრივართ,
— აჩუ, აჩუ, რაშებო!
დედაჩემი მოგვძახის,
— შორს ნუ წახვალთ, ბავშვებო!

მანანა ზაზიკაშვილი





# ხილული მუსიკა

როცა კაუნასში, ჩურლიონისის მუზეუმში ამ მხატვრის ნამუშევრებს ვათვალიერებდი, გამაოცა მისმა არაჩვეულებრივმა უნარმა — ფერით და ხაზით გადმოეცა მუსიკალური ნაწარმოების არსი, იდეა.

ეს არ იყო მუსიკალური ნაწარმოების ილუსტრირება. ნახატი ისეთსავე ასოციაციებს აღძრავდა, როგორსაც მისი პირველწყარო. ეს ნახატები, ისევე როგორც მათი სხვა იპოსტასი — მუსიკალური ნაწარმოებები, გვარწმუნებდნენ მაგალითად იმაში, რომ კოსმოსისა და ადამიანის სულის სტრუქტურა მონათესავეა, აქ იყო ფილოსოფიური ჩაფიქრება სიცოცხლის საზრისზე, კეთილისა და ბოროტის ჭიდილზე, ბედისწერაზე, რომელიც თავისი გარდუვალობის გამო ტრაგიკულია, წმინდა და ამაღლებულ ზემსწრაფ სულზე და იმ მიღმურზე, რაც, ჩვეულებრივ, ადამიანს გრძნობად აღქმაში არ ეძლევა.

მოკლედ, ეს იგივე მუსიკა იყო, ოღონდ... ხილული მუსიკა.

მე, ცხადია, არ მინდა ცნობილი მხატვარი დებიუტანტს, გუშინდელ სტუდენტს შევადარო, მაგრამ როცა მზექალა ბერძენიშვილის ერთად თავმოყრილი ნახატები ვნახე, სწორედ ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ვუსმენდი მუსიკას ან ვუცქერდი მუსიკას — ფერად, ხაზად განსხეულებულს.

აქ იყო ჩაიკოვსკის მუსიკასავით გამჭვირვალე და ფაქიზი „წელიწადის დრონი“, დებიუსის ნარნარი „მშვენიერი საღამო“, და „მთვარის შუქი“, მისივე მქრქალი და ეფემერული „ხილვა“.

შოსტაკოვიჩის სულის შემძვრელი მეთოთხმეტე სიმფონია. კომპოზიტორის მიერ შექმნილი აპოლინერის პოეზიით შთაგონებული სიკვდილის თერთმეტი სახიდან მზექალას გრაფიკაში სამმა ხორცი შეისხა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია გრაფიკული ფურცელი — სულიერი ტყვეობა. ეს ნაწარმოები მზექალა ბერძენიშვილმა მაშინ შექმნა, როცა კონსერვატორიის მეოთხე კურსზე იყო და შოსტაკოვიჩი შეისწავლა.

მე იმთავითვე უნდა მეთქვა, რომ მზექალა პიანისტია, შარშან დაამთავრა კონსერვატორია და პარალელურად — იქვე არსებული ფერწერისა და გრაფიკის მეორადი ფაკულტეტი. მუშაობს ფილარმონიაში სოლისტად, მუსიკალურ ათწლედში — კონცერტმაისტერად. სხვა თაოსნებთან ერთად მასაც დიდი სურვილი აქვს ბავშვთა სამხატვრო გალერეაში გაიხსნას ჯგუფი „მუსიკა და ფერწერა“.

ახლა თქვენთვის გასაგები გახდება, რატომ ასრულებს ასე დიდ როლს ქალიშვილის მხატვრობაში მუსიკა. რატომ არის ასე ღრმად ნაგრძნობი მისი „მთვარის სონატა“ (ბეთჰოვენი), „შემოდგომის სიმღერა“ (შუმანი), „ტყის ხმაური“ (ლისტი), თუ „სწრაფვა შორეული ვარსკვლავისაკენ“ (სკრიაბინის მეოთხე სონატა). მუსიკასთან თითქოს შორს მდგომი ნახატიც კი („კლოუნის ცხოვრებიდან“) ვერდის „რიგოლეტოთია“ შთაგონებული.

ჯერ კიდევ მუსიკალური ათწლედის X კლასის მოსწავლე იყო მზექალა, როცა ხელოვნების მუშაკთა სახლში მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო. „კარგი წარმოსახვის უნარი, გაბედული ხაზი და ხასიათიანი სახეების შექმნა მიმზიდველს ხდის მის მხატვრობას“, — წერდა მაშინ უჩა ჯაფარიძე.

კონსერვატორიაში სწავლისას მზექალა ბერძენიშვილი სტუდენტთა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებშიც მონაწილეობდა. შარშან მხატვართა კავშირმა ჟურნალისტის სახლში მოაწყო მისი პერსონალური გამოფენა, რომელზეც ახალგაზრდა მხატვარმა გამოიტანა 150-მდე ნამუშევარი — ფერწერა და გრაფიკა. დამთვალიერებელთა ყურადღება მიიქცია „მუსიკალურმა სერიამ“,

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოსტლუდია



გაზაფხულის ფანტაზია

განსაკუთრებით შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიით შთაგონებულმა გრაფიკამ — „თავდასხმა“.

ცოტა ხნის წინათ სსრკ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოებამ მოსკოვში პოლონეთის საელჩოს შენობაში მოაწყო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობისათვის მზექალა ბერძენიშვილიც მოიწვიეს. დამთვალიერებლებმა მხატვრის 480-მდე ნამუშევარი იხილეს. საელჩომ მადლობის წერილი გამოუგზავნა საქართველოს კულტურის სამინისტროს.



ბეთჰოვენის მთვარის სონატა

მუსიკალურ სერიასთან ერთად საელჩოში გამოფენილი იყო „მშვიდობის მადონა“ — სამყაროს ბედზე ახალგაზრდა მხატვრის დაფიქრებისა და შეშფოთების სახიერი გამოხატვა, და ადამიანის ფსიქიკაში წვდომის, სრულიად განსხვავებული ხასიათების გადმოცემისათვის მოფიქრებული ორიგინალური გრაფიკული ფურცლების სერია: „ნილბები“, „მომენტები“, „სახეები“.

მზექალას ნახატების შესახებ ერთმა სპეციალისტმა აღნიშნა, იმდენად სხვადასხვაგვარია, რომ ერთი ხელით დახატულს არ ჰგავსო. ამის შესახებ მხატვარმა თქვა:

— ეს ხომ ჩემი პირველი ცდებია მხატვრობაში. ყველაფრის მოსინჯვის სურვილი მაქვს. სულაც არ მინდა, ჩემი ერთი ნახატი მეორეს ჰგავდეს.

ჩვენი საუბარი შეეხო ხელოვანის მრავალმხრივობას, ხელოვნებათა სინთეზის საკითხს.

— ეს მე ბუნებრივად მეჩვენება, — თქვა ახალგაზრდა ხელოვანმა, — პოეზია, მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია უმუსიკოდ. განა შეიძლება მალარმეს პოეზია მუსიკასთან არ იყოს წილნაყარი? განა აღორძინების ხანის გიგანტები თავიანთი მრავალმხრივობით არ იყვნენ იდეალურნი? ჩვენთან კი მხატვარს, თუ იგი მღერის, უკვე ალმაცერად უყურებენ. პირადად ჩემთვის მუსიკაცა და მხატვრობაც თვითგამოხატვის საშუალებებია, ერთმანეთს ავსებენ და ურთმანეთოდ ვერ ძლებენ.

...მზექალა ბერძენიშვილის, როგორც ხელოვანის ნიჭი, ახლა იწყებს გაფურჩქვნას. **დასაწყისისათვის კი ისიც დამაიმედებელია, რისი გაკეთებაც ქალიშვილმა უკვე მოახერხა.**

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თქვენ ისეთი კარგები ხართ...

დ. იაკობაშვილის ფოტოები

რამდენი ხანი არ მენახა ჩემი კარგი, ჩემი მშვენიერი დობილი...

აი, ვუყურებ ბავშვებით შემოჯარულს და არ მჯერება, რომ ესენი მისი შვილები არიან — უკვე ამხელები, ასე ბევრნი... მერე რა საყვარლები და რა ლამაზები!

ჩვენი მოკრძალებული, მორცხვზე მორცხვი ზაირა...

სკოლა ის-ის იყო დაამთავრა და მეზობლის ბიჭს მალულად გაჰყვა. სხვათაშორის, ის ბიჭი მისი მასწავლებელი იყო — ნოდარ ბერიძე, დაუსწრებლად სწავლობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში და თან მასწავლებლობდა. არ ელოდნენ გოგოსგან ასეთ სითამამეს, მაგრამ უყვარდა, უყვარდა და რა ექნა! თანაც იცოდა, მშობლები ჯერ არ გაათხოვებდნენ — სკოლაში კარგად სწავლობდა და უმაღლესშიც რატომ არ უნდა ესწავლა, სხვაზე ნაკლები რით იყო ვითომ მათი შვილი! ჰოდა, აი, არ გაიპარა! გაიპარა და დიდი ამბავი! სწავლაში განა ნოდარი კი არ შეუწყობდა ხელს? ხომ ჰპირდებოდა კიდეც... თუმცა რას არ ჰპირდებოდა, ოღონდ სოფელში ყველაზე ლამაზი გოგოს გული მოეგო. მერე ეს დალოცვილი სიყვარული მომავალს რა მიმზიდველად აჩენს!.. ყველაფერი ეიოლებოდათ, ყველაფერი...

ვერა, ვერ ისწავლა. ანდა როდის ჩაჯდომოდა წიგნებს? — დრო საამისო არ იყო და არა.

პირველი გოგონა შეეძინათ, მერე ბიჭი და ასე მონაცვლეობით... ნაბოლარა გოგო ჰყავთ, ახლა ბიჭის ჯერია... სულ ხუთნი არიან: მანანა, გოგიტა, ეკა, შიო-ბიჭი და მარიკა! ოცდაათი წლისაა და უკვე ხუთი შვილის ჰყავს! არც ბიჭის ხათრით გაუჩენია და არც ტყუპები შესძენია, შემთხვევით რომ გამრავალშვილდებიან... უნდოდა ზაირა ფანჯაკიძეს ბევრი შვილი და შეგნებულად იყოლია კიდეც.

სანამ დედამთილი ცოცხალი იყო, რა უჭირდა. მერე რა ტკბილად იყვნენ, რა დედაშვილურად! ახლა მთელი ოჯახის საქმე მის სუსტ მხრებს დააწვა. ადვილია განა? აბა განსაჯეთ: მწოლიარე მამამთილი, ხუთი ბავშვი, ბოსტანი და ყანა, ცხვარი და ძროხა, იქით ფრინველი... რა გამოლევს სოფელში საქმეს, სახლის საქმე ხომ კიდევ ცალკე — ალაგებასა და დარეცხვას ვერ აუხვალ; წყალიც ისე შორს არის, ეზიდები, ეზიდები და ჰე, მოიხედავ, — აღარ არის, ისევ მოსატანია! ნოდარი ძალღონეს არ იშურებს, ცოლს ეხმარება, მაგრამ მაინც კაცია, თავადაც მოსავლელი.

სარეცხი, სარეცხი..!

რამდენი დაგროვდა ასე უცებ... ნელა დუგდუგებს სარეცხი მანქანა და გაწურული თეთრეულის გროვა აღარ ეტევა ხის ტაბურეტზე. მანანა უკვე მეექვსე კლასშია და, ასე თუ ისე, ეხმარება დედას, ეკა კიდევ ქაფით ერთობა. ეკას მარიკა ეპოტინება და ღნავის, ქაფს არ აძლევენ. გოგიტა ავად არის, იმდენი ირბინა, გაცივდა და ახლა სურდო სჭირს, მარტო წევს საწოლ ოთახში და იქიდან მოწყენილი, წამდაუწუმ ეხმიანება და-ძმას. შიო-ბიჭს აქამდე რას გააჩერებდით შინ, მაგრამ დედასთან სტუმარია და ჯერჯერობით აქ ურჩევნია. მარიკა უკვე სერიოზულად ტირის.

ოჰ, ეს საძაგლები ესენი!...

— გაჩერდით, გაჩერდით! — კივის ზაირა. ხელები აქვს წითელი, წითელი...

— შიო-ბიჭო, წაიყვა მარიკა აქედან, მომაშორე!

რა მკვირცხლია შიო-ბიჭი, რა ყოჩაღი! პაპის სახელი ჰქვია. როცა ოჯახში ორი შიოა, ცოტა რთულად არის საქმე და ამიტომ პატარა შიოს შიო-ბიჭს ეძახიან. ამ კოხტა სახელის კოხტად შემფერებელი ბიჭი მოჰკიდებს დაიკოს ხელს და ეზოში გაჰყავს.

რამდენი საზრუნავი აქვს დედას. უპირველესად, კარგად უნდა აღზარდოს შვილები, მაგრამ კარგ აღზრდასთან ერთად მათ ხომ ჭამაც უნდათ, ჩაცმაც და ნორმალური ბინაც.

ნოდარმა კარ-მიდამო მომატარა. სახლი ახლახან ააშენეს, უფრო სწორად, — ძველს მიაშენეს. ჯერ კი-







ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ რამდენი რამეა გასაკეთებელი. ის ძველი სადგომი ოთახად უნდა გადააკეთოს და ოთხი ოთახი გაუხდება, შემოსასვლელს გადატანა უნდა მოპირდაპირე მხარეს!.. აი, სარდაფი კი კაი გამოუვიდა, ისე ინახავს კარტოფილს ივნისამდე, მთლად ახალივით. ხალისით აწყობს მომავლის გეგმებს ოჯახის მამა. სულ სხვა გემო აქვს შენი ჯაფითა და წვალებით აშენებულს.

უჭირთ, მაგრამ არ იმჩნევენ. კოლმეურნეობას თუ უნდა სოფელი ღონიერი იყოს, ასეთ ოჯახებს აუცილებლად უნდა დაეხმაროს, თუნდაც გრძელვადიანი სესხი გამოუყოს, რომ სახლი მაინც დროზე მოამთავრონ. ნოდარს შეიძლება ეწყინოს კიდეც, დასახმარებელი რა მჭირსო. ხომ იცით, ალალ ლუკმას გადაგებულნი უფრო ამაყები არიან, თორემ ვისაც არმად შემოსული ქონება ყელამდე უჭიპჭიპებს, ის უფრო თხოულობს დახმარებას.

ნოდარი სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობს. ზაირამაც სკოლაში დაიწყო მუშაობა, ბიბლიოთეკარად ნახევარ განაკვეთზე. ორივე ისეთია, მოკეთის გულისთვის ხელისგულზე ქვას დაინაყავს.

— ზაირა, მეექვსე შვილზე არ ფიქრობთ?

— ხალხის ყბაში გინდა ჩამაგდო?

— რატომ, შე ქალო!..

— შიო-ბიჭი რომ შეგვეძინა, ეს მეოთხე რაღად გინდოდათო, — ბევრმა მითხრა, მერე მარიკა რომ გვეყოლა, ერთი-ორმა გაიცინა კიდეც! გულო და თემო საბაშვილები ხო იცი, მეოთხე ბიჭი შეეძინათ. ისე მიხარია, — მხარში ამოდგომასავით არის ეს.

ოჰ, რანი ვართ ეს ქართველები!

კოთელია, სადაც ჩვენი გმირები — ნოდარ ბერიძე და ზაირა ფანჯაკიძე ცხოვრობენ, ახალქალაქის რაიონის ერთი პატარა ქართული სოფელია, ირგვლივ სხვა სოფლები ღონივრობენ. ბიცოლაჩემი ამბობდა: ტურცხში (მეზობელი სოფელია) ვიყავი და გამიკვირდა, რამდენი ბავშვია სოფელში, ქალო, რამდენი... ყველა სახლის წინ ჩვილის ჩვრებია გაფენილი, ჩვენსავით კი არ არიან, თითო-ოროლა ბავშვი ძლივს რომ დაგვიდის სოფელშიო. ჰო, ჩვენსავით არ არიან, ჩვენ ხუთი შვილი გვეამაყება და ჩვენი მეზობელი სომხებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ისე კი, გვეამაყება? თურმე და სასაცილო ყოფილა ბევრი შვილი. ასე ჰგონია ზოგიერთს. ხომ ხედავთ, როგორ გაუხარდა ზაირას საბაშვილების მეოთხე ბიჭი. რატომ? იმიტომ, რომ სხვებსაც ჰყავთ ბევრი შვილი და მართლაც მხარში ამოუდგნენ ნოდარს და ზაირას.

— გულომ და თემომ მეხუთე შვილი რომ იყოლიონ, თქვენ მეექვსეზე არ იფიქრებთ?

გულიანად გაიცინეს, — ეგ ზოგიერთს უთხარით, ჩვენ რომ ლექციებს გვიკითხავენ, თვითონ ოჯახის შექმნაზეც არ ფიქრობენო.

მართალი ხართ!

მაგრამ მაინც... თქვენ ისეთი საყვარლები ხართ, ისე ბავშვურად პატიოსნები, რომ თქვენი შვილები აუცილებლად კარგ მამულიშვილებად დაიზრდებიან. და აუცილებლად ბევრი შვილი უნდა იყოლიონ თქვენისთანებმა, რადგან მამულს მარტო ბევრი შვილი კი არა, ბევრი კარგი შვილი სჭირდება.

**მანანა ზარიძე**

## ჩვენ გვწერენ

# მისი გზა



მაშინ ქარელი სოფელი ყოფილა, ვიწრო გზებითა და ტალახიანი ქუჩებით. წვიმის შემდეგ ლაფში ეფლობოდა კაცი. მხოლოდ ერთი გზა იყო მოკირწყლული და ისიც ორასიოდე მეტრზე. ამ გზას მიჰყვებოდა ექიმი-სტომატოლოგი თამარ თითბერიძე. რაიონი განებივრებული არ იყო ექიმებით. ჭირდა მკურნალი. ხალხი შორი სოფლებიდან მეტწილად ფეხით მგზავრობდა. აბა რამდენი ავადმყოფის მიღება შეეძლო ერთ ექიმს, ერთ სტომატოლოგს! შორიდან მოსულნი გადაუდებელ დახმარებას საჭიროებდნენ, ექიმს ძალა ელეოდა.

თამარის სათნო, კეთილი ბუნება, იუმორით შეზავებული საუბარი, ჯადოსნურად მოქმედებდა ავადმყოფებზე. ახალგაზრდა ქალიშვილი ციბრუტივით ტრიალებდა, დიდი ყურადღებით მკურნალობდა. ავადმყოფობამ არც დასვენების საათი იცის, არც ღამე და არც დღე. თუ შეგძრა ტკივილმა, მძინარე ექიმის კარს უტიფრად მიაკაკუნებ.

საოცარი შრომის უნარი და ნებისყოფა ამშვენებდა თამარს. როგორც გულითადი მახლობელი. ღიმილს შემოგაგებებდა. ეს თვისება მას დღემდე შემორჩა.

სამამულო ომის წლებმა დიდი სულიერი და ფიზიკური ძალა მოსთხოვა თითოეულ ადამიანს; თამარმა იმ წლებში გამოცდა კარგად ჩააბარა. მისი მადლიერი ავადმყოფები ყოველთვის კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, ავტორიტეტი დღითიდღე მატულობდა. მას შემდეგ 46 წელი გავიდა. თამარი დღესაც მოღვაწეობს.

კომუნისტსა და ამაგდარს პირველი კატეგორიის ექიმის წოდება მიანიჭეს, მიღებული აქვს მედალი, სამკერდე ნიშნები, მრავალჯერ აირჩიეს სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატად.

თამარის მეუღლე ილია ნაზღაიძე დიდ სამამულო ომში იბრძოდა, ოფიცერი შინ გამარჯვებული დაბრუნდა მრავალი წელი ერთგულად ემსახურა მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ამჟამად იგი პენსიონერია. ამაგდარმა ადამიანებმა კარგი შვილებიც აღზარდეს: ლიანა და ზაური ინჟინრები არიან, ოთხი შვილიშვილიდან ორი სტუდენტია.

სოფელ ქარელში, როცა თამარმა დაიწყო მუშაობა, მრისხანე 1941 წელი იდგა. ახლა ქარელი უკვე ქალაქია. ექიმი კვლავ თავის პოსტზეა.

**ნ. კოზბახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედის გული

მხატვარი ცინარა ტერელაძე

გაზაფხულის მზე არემარეს ათბობდა. ირგვლივ ნაირფერად აყვავებული მიდამოდან გამაბრუებელი სურნელი იფრქვეოდა. თეთრად გადაპენტილ წალკოტში ოდიშური რიკულიანი ოდა-სახლი იყო ჩაფლული.

სახლის წინ ჯორკოზე მოხუცები ჩამომსხდარიყვნენ.

ტაგუ ჩიბუხს აბოლებდა და ხშირ-ხშირად ახველებდა, ფოტინეს ხილაბანდით შეკრული შუბლი მუხლებზე დაყრდნობილ ხელებში ჩაერგო და ღრმად სუნთქავდა.

ორივეს სახეზე დიდი მწუხარება იყო აღბეჭდილი.

მყუდროება ტაგუმ დაარღვია, რომელმაც ჩიბუხი გვერდით გადადო და მძიმედ დაიწყო.

— რა იყო, ფოტინე, კიდევ ის სიზმარი გიტრიალებს თავში? მაინც რა დაგესიზმრა, არ იტყვი?

ფოტინემ ამოიოხრა, დანაოჭებულ სახეზე ხელი გადაისვა და ხილაბანდის წვერით ცრემლები მოიწმინდა.

— მიტრიალებს, აბა რა! ვიტანჯები უკვე რამდენი ხანია. ასეთი სიზმარი, ამ ხნის ქალი ვარ და არასდროს მინახავს, თქმისაც მეშინია. დედაჩემისაგან გამიგონია, ცუდ სიზმარს რომ ნახავ, არავის არ უნდა უთხრა თორემ ცუდად აგიხდებაო. ამიტომ არ გეუბნები. ის კია, რომ იმწამსვე ავდექი, ქალალდი დავწვი, წყალი გადავღვარე და სამჯერ ხმამაღლა ვთქვი: ჩემი სიზმარი ასე დაიწვას და ასე წაიღოს წყალმა...

— გონს მოდი, სიზმარმა რა იცის, რა დაეჯერება?!

ტაგუმ ჩიბუხს კვლავ მიუბუნდა, აიღო, ისევ დატენა და მოქაჩა, ხელები აღაპყრო და თქვა:

— ღმერთო, შენ გვიშველე!...

ამის თქმა ვერ მოასწრო ტაგუმ, რომ ფოტინემ მთელი ძალით შეაჩნჯღრია იგი.

— ბერიკაცო, გამიგონე, ჩვენს თავს მართლაც, რაღაც უბედურებაა. გესმის? ჩვენი ძაღლი ყმუის, ცუდის ნიშანია...

თქვა ეს და წამოდგა.

ტაგუმ ნაღვლიანად გააყოლა თვალი დაბმული ძაღლისკენ მიმავალ ფოტინეს.

კარგა ხნის შემდეგ ტირილისაგან თვალებდასიებული ფოტინე დაბრუნდა და ტაგუს გვერდით მიუჯდა.

— მომისმინე, ტაგუ! ვიღონოთ რამე. იქნებ წერილი მიგვეწერა ან ტელეგრამა გაგვეგზავნა.

— გაგვეგზავნა, თორემ იმ წუთში არ გიპასუხონ!.. ვის სცალია ჩვენთვის? ამ ერთი წლის განმავლობაში რამდენი წერილი და ტელეგრამა გააგზავნე, თუ გახსოვს, მარა ყური არ გაუბარტყუნებიათ. დიდი კაცია, ნასწავლი, აღარ ვჭირდებით, არ ვახსოვართ. საჭმელს არ ვთხოვთ და სასმელს... ჩასაცმელი არ გვინდა მისი და დასახური,... ერთი წერილის გამოგზავნა რა გაუჭირდათ!..

— ნუ იცი, კაცო, ასეთი ლაპარაკი! რა სათქმელია, არ ვახსოვართო, როგორ არ ვახსოვართ, მარა, ხომ იცი, ბევრი საქმე აქვს და ვერ იცლის.

— თუ ამასაც ამბობ, რაღას ჩამოგტირის ცხვირ-პირი, რაღას საყვედურობ?

— მიჭირს უმისოდ ცხოვრება, მთლად მოვწყდით ერთმანეთს, წელი გადის და არ მინახავს. ამიტომ ვწუხვარ და ვოხრავ, თორემ რომ ვახსოვართ და ისევ ძველებურად ვუყვარვართ, ამაში ეჭვი როგორ შემეპარება!

— თუ ეს ასეა, შარშან ტელეგრამა რომ გაუგზავნე, მამაშენს ცოცხალს ჩამოუსწარიო, ხომ ნახე, რომ არც ჩამოვიდა და არც გვიკითხა.

— შე დალოცვილო, ამ სიბერეში როგორ შეგეცვალა ხასიათი, ცეცხლზე ნავთს მისხამ? ხომ შეიძლება დაკარგულიყო ის ტელეგრამა.

— ამართლე, ჰო, ამართლე! შენი გაფუჭებულია, ყოფილიყო სოფელში და ემუშავა, მაგაზე ნაკლები ბიჭებია აქ? დაიჩემე, ქალაქში უნდა იცხოვროსო, აჰა, რადგან გაუშვი, ახლა ნუღარ წუწუნებ.

— შენ თუ ახირდი, მერე რაღა გაგაჩერებს...

— ასეა და რა ვქნა?...

მითხარი, ტაგუ, როგორ ფიქრობ, ცუდი რამ რომ სჭირდეს, ვითომ არ შეგვატყობინებდნენ?

— მაინტერესებს, მაინც ვინ გეგულება შემტყობინებელი. შენს რძალს მეტი საქმე არა აქვს! ის მხოლოდ იმას ფიქრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჩაიცვას, რა დაიხუროს და რა ჩამოიკიდოს კისერსა და ყურებზე საახალწლო ჩიჩილაკივით. აქეთ არ იხედება. შვილებიც ისე გაზარდა, არ შეაყვარა აქაურობა. ზაფხულში აქ დასვენებას რა ჯობია, სამოთხეა პირდაპირ, მაგრამ ახლანდელ კუდაბზიკა ქალებს ხომ ვერ შეაგნებინებ.

— მაგაზე მეც კი მწყდება გული, არ ვუყვარვართ, არაფრად გვაგდებს, ჩვენ ჩაგვივლის და ისე მიბრძანდება თურმე დედამისთან, არ ვიცი, რას მემდურის.

— ქალო გაიგე, შენ დედამთილი ხარ, ერბო-კვერცხი რომ შეუწვა ხელისგულზე, მაინც ვერ დაანახვებ!..

— ეჰ, ყველაფერი ჩემი შვილის ბრალია, თავზე დაისვა, მაგრამ საყვედურს მაინც არ ვიტყვი, რა ვქნა!.. ოღონდ კარგად იყვნენ და ნუ მოვლენ!..

— თქვა ეს და მთლად მოიკუნტა, თითქოს დაპატარავდა, მუჭისოდენა გახდა.

ამ დროს ორღობეში ჩქარი ნაბიჯით მომავალი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. დაუპირისპირდა თუ არა ფოტინეს და ტაგუს, შეჩერდა და ხალისიანად მიესალმა.

— გამარჯვება ნუ მოგაკლოს წმინდა გიორგიმ! ძაბული გოლუაფირო, როდის ჩამოხვედი ქალაქიდან, ჩემი გიორგი ხომ არ გინახავს?

— არა, ფოტინე დეიდა, არ მინახავს, — უთხრა ქალმა და გზა განაგრძო.

— რაცხა ამ გოგოს პასუხი არ მომეწონა... ხომ არაფერს გვიმალავენ, ცეცხლი ხომ არ გვექიდება?

— რას უნდა გვიმალავდნენ, დაწყნარდი.

— ღმერთი გიშველის! მეც კი მინდა დავწყნარდე, მაგრამ გული, გული შემომტირის და...

ტაგუ ველარ უძლებდა ფოტინეს საცოდაობის ყურებას და წამოდგა, რომ იქაურობას გასცლოდა.

მაგრამ ამ დროს ფოტინე სწვდა მკლავში — გამიგონე, ერთი რამე უნდა გითხრა, ტაგუ, სულელად არ ჩამთვალო, — დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ტაგუ შეშინებული შეჰყურებდა და ვერ ხვდებოდა, რისი თქმა უნდოდა.

— ჩვენ წავიდეთ გიორგისთან... რომ არ ვნახო, არ შემიძლია!

— რას ამბობ!.. თბილისში წავიდეთ?

— კი, კი, ჩემი სიკვდილი თუ არ გინდა, უარი არ მითხრა, ვიცი, შენც გინდა მისი ნახვა, წავიდეთ, ფეხს ნუ ითრევ, გახსენი შუბლი...

— ჭკვიანი ქალი მეგონე, ეგ რამ გაფიქრებინა? ამსიშორე გზაზე წასვლას ეხუმრები? აქ ძლივს დავდივართ.

— გულს ნუ დამწყვეტ, ამ სიბერეში შემისრულე ეს სურვილი.

ტაგუ კარგა ხანს ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო, ბოლოს წამოდგა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— კარგი, წავიდეთ...

— გაგახაროს ღმერთმა!.. აბა, მოვემზადოთ, იქნებ სალამოს მატარებელს ჩავუსწროთ.

დაფაცურდნენ მოხუცები, მეზობლებიც მოიხმარეს და მზის ჩასვლისას უკვე ყველაფერი მზად ჰქონდათ. ჩაიცვეს საგარეო ტანსაცმელი და გაემგზავრნენ.

ღამის 11 საათზე უკვე მატარებელში ისხდნენ.

— ტაგუ, თუ კარგად არიან, ხვალ დილით, როგორ გავიხარებთ. გიორგი რომ დაგვინახავს, ჯერ გაუკვირდება, მერე ჩვენსკენ გამოიქცევა, მე ხელში ამიტაცებს და რომ იცოდა, ისე დამიწყებს კოცნას და ფერებას: ჩემო ლამაზო დედიკო, ჩემო კარგოო, — მეტყვის. შენ ბეჭზე ხელს დაგარტყამს და, უბერებელო მამაჩემოო, — გაგეხუმრება.

— ვნახოთ!.. მართლა, რაც ახალ ბინაში გადავიდნენ, მერე არ ვყოფილვართ, მაგრამ მივაგნებთ, მისამართი ხომ გვაქვს.

— მივაგნებთ, ამას კითხვა უნდა? ქალაქში რა გამოლევს კეთილ ადამიანებს, მიგვასწავლიან. ახლა შენ დაწექი და დაიძინე, მე დამჯდარი მოვატყუებ თვალს, ცოტაც და გათენდება.

— შენც დაწექი! გაიხაროს იმ შენმა ძმისშვილმა! რა ბილეთი აუღია, ფულიც არ გამომართვა, ასეთი ვაგონით ჯერ არ მიმგზავრია, ხედავ, ყველგან სარკეებია, რა მოწყობილია, დიდი პატივი გვცა.

— დიდი ამბავი! კაცად შენ აქციე და შენ დაასახლე, რა გიკვირს? აბა სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?

— ის მიკვირს, რომ ყველას ვერ დაანახვებ სიკეთეს.

მეორე დილით ფოტინე და ტაგუ უკვე თბილისის სადგურში იყვნენ და გაოცებული იყურებოდნენ აქეთ-იქეთ. უკვირდათ, ამ წელიწადში როგორ შეცვლილა ქალაქი ყველას და ყველაფერს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ. არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. ბოლოს ერთი ახალგაზრდა შეაჩერეს და დახმარება სთხოვეს.

ახალგაზრდამ ქაღალდი გამოართვა, მისამართი წაიკითხა, გაიღიმა და გაამხნევა მოხუცები:

— ნუ შიშობთ, ახლავე წაგიყვანთ, აქვეა, მეც იმ სახლში ვცხოვრობ, ბატონი გიორგი ახლა კარგად არის, თუმცა გეცოდინებათ, ავარიაში მოყოლილმა მძიმე დღეები გამოიარა, ბედი გქონიათ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— რაო, ავარიაში მოყვა? მოუკვდა ჩემი თავი, მითხარი, შვილო, ყველაფერი დაწვრილებით მითხარი.

ამ ლაპარაკში გიორგის ბინას მიადგნენ. ახალგაზრდამ ზარი დარეკა, კარი რომ გაიღო, ხანშიშესულმა ქალმა გამოიხედა. ბატონი გიორგის დედ-მამააო, — უთხრა მეგზურმა და დაემშვიდობა.

ქალმა ფოტინე და ტაგუ ოთახში შეიპატიჟა და ქვედა სართულზე დააბინავა. ბავშვები სკოლაში იყვნენ, გიორგი — სამსახურში, მადონნას ჯერ კიდევ ეძინა. შინამოსამსახურე ზედა სართულზე ავიდა და „ქალბატონს“ მოახსენა სტუმრების მოსვლა. მადონნას არ ესიამოვნა მათი გამოჩენა და აბუზღუნდა:

რას მოდიოდნენ, ვინ დაპატიჟაო. ავადმყოფობა მოიმიზეზა და ოთხკედელშუა გამომწყვდეულ მოხუცებს არ ჩააკითხა.

გიორგის მოსვლამდე მარტო ისხდნენ გარინდული და დამცირებული დედმამა, ზოგჯერ შინამოსამსახურე თუ შეაკითხავდა.

იმ დღეს გიორგი გვიან დაბრუნდა სახლში. მადონნასაგან გაიგო მშობლების ჩამოსვლის ამბავი, ბავშვივით გაიხარა, მაგრამ მადონნას საქციელმა ეს სიხარული მალე ჩაუკლა.

დაბნეული შევიდა გიორგი მშობლებთან და უხერხულად მიესალმა. ტაგუ შეცბა, არ მოელოდა ასეთ შეხვედრას. ფოტინეს სიხარულისაგან გიორგის უხალისო შეხვედრისათვის ყურადღება არ მიუქცევია, იგი ეხვეოდა, კოცნიდა და გულში იკრავდა შვილს. როცა გული იჯერა, უსაყვედურა:

— ასე უნდა, ბიჭო? რად არ გაგვაგებინე შენი ამბავი, რად მიგვატოვე შენი შემყურე მშობლები? ახლა ხომ კარგად ხარ? გენაცვალოს დედა!..

გიორგი დარცხვენილი, დამნაშავესავით იდგა დედ-მამის წინაშე და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა, ბოლოს ძალა მოიკრიბა, ჩამოჯდა და გამოელაპარაკა მშობლებს.

ტაგუ ჭკვიანი კაცი იყო, მიხვდა გიორგის უხალისობის მიზეზს, მაგრამ არ შეიმჩნია, არ უნდოდა შვილისათვის გულის ტკენა.

ისინი კარგა ხანს საუბრობდნენ, თან ვახშამს უმადოდ შეექცეოდნენ. ფოტინე თხოვდა, რომ ეჭამა მისი ნახელავი, მაგრამ გიორგის დანა პირს არ უღებდა...

ბოლოს გიორგი წამოდგა, ნირწამხდარმა მშობლებს მიუალერსა, მოსასვენებელ ადგილზე მიუთითა, ტკბილი ძილი უსურვა და გავიდა. იმ ღამეს გიორგის თვალი არ მოუხუჭავს!..

მარტო დარჩენილი მოხუცები საცოდავად შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ხმის ამოღება ორივეს უჭირდა. ბოლოს ისევ ფოტინემ დაიწყო: — ხედავ, რა დღეშია ჩვენი შვილი? ჩვენი ზემოთ აყვანაც კი ვერ გაბედა, ის ქალბატონი ხომ არ ჩამობრძანდა, არ ისურვა ჩვენი ნახვა. როგორც ჩანს ბავშვებიც არ გამოუშვა, ვესირცხვებით ალბათ. ვაი, ჩემო თავო, ჩემო გაზრდილო ვაჟკაცო, ასე როგორ დაგიმონა!..

— ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ დააკავებსო, — ხომ გაგიგონია, ასეა აქაც... თავჩაქინდრულმა, ჩაფიქრებულმა თქვა ტაგუმ.

შუაღამისას ორი ლანდი სახლიდან გამოვიდა და ლასლასით გაეშურა სადგურისაკენ. ერთი მათგანი გზადაგზა სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: — აი, ესეც ჩემი სიზმარი, ცხადად ამისრულდა!..

ᲗᲘᲜᲐ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ნინო ბეზარაშვილი

# თქვენი ივალით,

გურჯაანსა და სოფ. ჭანდარს შუა არის ერთი სოფელი, რომელსაც ზემო გურჯაანი ჰქვია. ხანდახან ძველ გურჯაანსაც ეძახიან. ლამაზია იგი, თვალს მოგტაცებთ მის ფერდობებზე შეფენილი უბნები და გამრჯე ხელით მოვლილი ვენახები, წინათ თურმე კართუბანი ერქვა, „არს ხევი მცირე კართუბნისა ანუ გურჯაანისა" — გვამცნობს ვახუშტი ბაგრატიონი.

რატომ შეარქვეს მერე გურჯაანი? ამაზე ვერაფერს ვიტყვი, მე მხოლოდ მინდა მკითხველს გავანდო ჩემი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები თუ როგორი იყო ოცდაათიან წლებში სოფელი გურჯაანი და როგორია დღეს.

სოფელ გურჯაანს შუა გულს წინათ ხევი ჩაუდიოდა. ამ ხევის პირას კარგა მოზრდილი ბაღი იყო გაშენებული, სადაც ჩვენებური ცაცხვებისა და შრიალა ვერხვების გარდა უცხო ხეებიც იდგა. ყვავილების სკვერს კი ამშვენებდა რევოლუციონერი — ალიოშა ჯაფარიძის ძეგლი. სოფლის მესვეურები უვლიდნენ, პატრონობდნენ იმ ბაღს და ხალხიც უფრთხილდებოდა.

ბაღის ერთ მხარეს კარგად ნაშენები, ჩუქურთმებით შემკული ქართული აივნიანი სახლი იდგა. ბაღის თავშიაც იყო ორსართულიანი შენობა, რომელიც ამშვენებდა იქაურობას თავისი გამორჩეული სილამაზითა და მდიდრული შესახედაობით. ამ სახლებში მოთავსებული იყო სოფლის საბჭო, ფოსტა, კოლმეურნეობის კანტორა, საწყობი და, თითქმის „უნივერსალური" მაღაზია.

არ შემიძლია, არ გავიხსენო კიდევ ერთი, ბაღის პირდაპირ, მაღლობზე მდგარი უწინ მშვენიერი, ახლა უკვე ჩამონგრეული სახლი. დღესაც თვალწინ მიდგას მისი მრგვალთაღოვანი კარ-ფანჯარა, ჩუქურთმებიანი აივანი და მიხვეულ-მოხვეული კიბე. იქ, ზემო სართულზე აფთიაქი იყო; შიგ პრიალა თაროები იდგა და ზედ ფარმაცევტებისათვის საჭირო თვალისმომჭრელი სისუფთავისა და სილამაზის ძვირფასი ჭურჭელი ეწყო.

გურჯაანელები ხშირად იტყოდნენ ხოლმე: „ჩვენი აფთიაქი ისეთი ლამაზია, ავადმყოფი თვითონ თუ შევა წამლის გამოსატანად, იქვე განიკურნებაო", ამ სიტყვებში კარგად იგრძნობა, რომ გურჯაანელებს სილამაზის ფასი სცოდნიათ. აკი ჰქონდა კიდეც სოფელს ლამაზი შუაგული. გურჯაანელები კახეთის გულს რომ ეძახდნენ სიამაყით. იმ შუაგულში ბაღი შრიალებდა, ბაღის გარშემო კი ისეთი სახლები იდგა — იმდროინდელ თბილისის ერთერთ ულამაზეს უბანში — სოლოლაკში რომ გვინახავს. მაგრამ იმ სახლებიდან ზოგი დაინგრა, ზოგი გადაკეთდა და ბაღიც ნაბაღარად იქცა. გულსატკენია, რომ ხევის მეორე ნაპირზე ეკლესიის ეზოში მდგარი საუკუნოვანი მუხაც გაჭრა.

ამ ბოლო დროს სასიკეთო ცვლილებებიც მოხდა სოფელში: ცენტრი გადააკეთეს, ხევში საკომუნიკაციო მილები ჩაყარეს და ზედ ასფალტი მოასხეს (ასფალტი სოფლის საურმე გზაზედაც დააგეს). ამაზე მადლობა უნდა თქვან გურჯაანელებმა, მაგრამ ხევის ჩაკეტვამ ვერ გაამართლა, საკომუნიკაციო მილებში ვერ თავსდება მთებიდან წამოსული წვიმის წყალი და ხევისპირას მდგარ სახლებში შედის ხანდახან და ასფალტზეც დგება ტბორებად. წყალს ჩამოყოლილი მიწა და შლამი სოფლის ცენტრში გორებად აიმართება ხოლმე. წინათ წყალი ხევში თავისი კალაპოტით მიედინებოდა და სოფელზე გამავალ შარაგზის ქვეშ ძველთაგანვე დატანებულ ბოგირში გადი-

## კრიტიკული გამოსვლის შემდეგ უპასუხებს:

### პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი

ჩვენი ჟურნალის 1987 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „სილამაზის მსახური", რომელიც ეხებოდა რუსთავის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

ამასთან დაკავშირებით პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. თ. ხაზარაძემ რედაქციას შეატყობინა:

არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია ხსენებული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს შემდგომი გაფართოება.

პუბლიკაციაში მოხსენიებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დღეისათვის უკვე განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებები:

ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლს „მზიურს" დაუბრუნდა 600 კვადრატული მეტრი სამუშაო ფართი.

ცემენტის ქარხანამ და ქარხანა „ცენტროლიტმა" უკვე გამოყვეს სათანადო ფართი მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციისათვის. ა. წ. მაისში იგივე ღონისძიებები განხორციელდა საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოში".

გასული წლის ბოლოს ქალაქის ახალ მიკრორაიონებში 300 კვადრატულ მეტრ საერთო ფართზე გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორი ობიექტი. მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის მშენებლობა, რომლის საერთო ფართი 1800 კვადრატული მეტრია.

საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალდარგოვანი კომბინატისა და კომპლექსური მიმღები პუნქტის მშენებლობის დაწყების მიზნით ქალაქის მე-20 მიკრორაიონში უკვე გამოყოფილია 115 კვადრატული მეტრი საერთო ფართის ტერიტორია. აქვეა გამოყოფილი ნაკვეთი „ჰიგიენის სახლის" მშენებლობისათვის.

ერთობლივად შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად სამმართველო მთლიანად დაკმაყოფილდება მოწყობილობით. ინვენტარითა და დამხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდებო!

ოდა. მაგრამ ძველ გზასთან ერთად ის ბოგირიც მოშალეს და მის ნაცვლად სოფლის მოედანი გააკეთეს; სამაგიეროდ, ცოტა ქვემოთ ხევი მიწით ამოავსეს და შარაგზა გაასწორეს. ამაზედაც მადლობა ეთქმით გურჯაანელებს, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ გზის გამკეთებლებს ვენახებში წასასვლელი ბილიკი დაეტოვებინათ ფეხით მოსიარულეებისათვის. ვისაც მანქანა აქვს იმისთვის არაფერია, შორიდანაც კარგად მოუვლის· ფეხით მოსიარულესთვის კი ვენახში წასასვლელად შარაგზა მოუხერხებელი გახდა. მოკლეზე ჩასასვლელი ხევიც ჩაიკეტა სოფ. გურჯაანის ცენტრში, ანუ ხევის უბანში მცხოვრებთათვის. შორსაა სოფლის ცენტრიდან აფთიაქი (ადრევე გადაიტანეს ქ. გურჯაანში); სამრეწველო მაღაზიას და ძველ მდიდარ ბიბლიოთეკასაც სხვა უბნებში მიუჩინეს ბინა. ჩემი აზრით, ასეთი რამ ხოფლის ცენტრში უნდა იყოს, იქ ბევრი ხალხი დადის და მაღაზიითა თუ ბიბლიოთეკით უფრო ადვილად ისარგებლებდნენ. კლუბი კი არის ცენტრში, რამდენიმე წლის წინ ააშენეს მაგრამ მოუვლელობა ეტყობა, გულშემატკივარის ხელი აკლია. თუმცა ოცდაათიან წლებში ესეც არ გვქონდა. ახალგაზრდები რომელიმე სახლის საჩეხში ან აივანზე გააბამდნენ ფარდებს და იქ ატარებდნენ სპექტაკლებს. გრანდიოზულ საღამოებსაც მართავდნენ ბაღში ან მინდორში. ახლანდელ ახალგაზრდებს კი თითქოს სულ არ აინტერესებთ ასეთი რამ. ვერ ვიტყვით, რომ ხელოვნება არ უყვარდეთ. სპექტაკლების სანახავად ქ. გურჯაანში დადიან. იქ წასვლას ვინ დაუშლით, მაგრამ თავიანთი თვითშემოქმედებით ხანდახან მაინც რომ გაახარონ თანასოფლელები, არც ეს იქნება ურიგო. კლუბში შეიძლება ჩამოყალიბდეს დრამატული წრე, მომღერალთა გუნდი, რაც ხელს შეუწყობს იქაური ახალგაზრდების ნიჭის გამოვლინებას და... მაშინ სოფელსაც აღარ გაიმეტებენ მისატოვებლად.

ნუ ეწყინებათ გურჯაანელებს, ამდენი ნაკლი რომ ვახსენე, თუმცა, მოდი და ნუ იტყვი! სოფელს წყალი არა აქვს, ამოდენა ხალხი ერთად-ერთ-ბეზარაანთ წყაროს ანაბარაა. საიდან სად არ მოდიან მანქანებით თუ ფეხით წყლის წასაღებად.

სოფ. გურჯაანს ბევრი სტუმარი მოსდის საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქალაქებიდან ჩვენი კინოვარსკვლავის — ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად. მუზეუმში ხალხი პირველად წყაროსთან ჩერდება, იქ კი რა ამბავია? ჭურჭლების რიგი, მანქანების რეცხვა და უსუფთაობა. ნუთუ შეუძლებელია, რომ სოფელს სხვა წყალიც ჰქონდეს? მანქანების გასარეცხი ცალკე იყოს და ეს საქვეყნოდ ცნობილი, უნიკალური წყარო მოვლილ-დასუფთავებული გვქონდეს, რომ აქაურებმაც სიამოვნებით აავსონ ჭურჭელი და სტუმარსაც კარგი შთაბეჭდილება გაჰყვეს?!

არ ვიცი, რაიმე შედეგს გამოიღებს თუ არა ეს წერილი, მაგრამ მე მაინც გამოვთქვი ჩემი გულისტკივილი. ამბობენ, ცდა ბედის მონახევრეაო. ვინ იცის, იქნებ ზემო გურჯაანელები ჩაუფიქრდნენ ამ ამბავს და რასაც ჯერ კიდევ ეშველება, იმას მაინც მიხედონ. ვიქნები თქვენი იმედით, ახალგაზრდებო!

## კრიტიკული გამოსვლის შემდეგ უპასუხებს:

რე მასალებით.

გატარებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა ქალაქის სამმართველოს ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა, სტაბილიზირდება კოლექტივის მუშაობა, რაც გამოიხატა სამმართველოს მიერ ოთხი თვის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმის წარმატებული შესრულებით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი დაგეგმილი ღონისძიება ხორციელდება არასაკმარისი ოპერატიულობით, რის გამოც საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭომ და რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გაითვალისწინეს ერთობლივ ღონისძიებათა საკითხის განხილვა.

### „ბახტრიონის" გენერალური დირექტორი

### გ. ზაკალაშვილი

ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1987 წლის მარტის ნომერში (№ 3) გამოქვეყნებული წერილი „როგორ გვესახება გარდაქმნა" თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონის" მუშაობის ავკარგს ეხებოდა.

„გაერთიანება „ბახტრიონის" წლევანდელი წლის დასაწყისიდან გარკვეული ძვრებია, შეიცვალა 53 ერთეულის ოდენობით მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მრგვალი საქსოვი მანქანა და მის ნაცვლად სამამულო მრავალფლანგური კლკ-5 და ხაოს წარმომქმნელი ზედაპირიანი ქსოვილის შემქმნელი „ეპეკსის" ტიპის მანქანები დამონტაჟდა. მათზე წარმოებული პროდუქცია ამჟამად განსაკუთრებით მოდურია.

ღონისძიებები განხორციელდა და წლევანდელი წლის ბოლომდე სამკერვალო ფილიალები აღიჭურვა თანამედროვე საუთაო წნეხებით. მოდელების მიხედვით 48 პროცენტით განახლდა ასორტიმენტი. შეიქმნა 46 ახალი მოდელი, ნაცვლად გათვალისწინებული 38-ისა.

წარმოებაში ინერგება მცირე მექანიზაციის მოწყობილობა, რომელიც პროდუქციის გასამშვენებლად არის გათვალისწინებული".



ლარისა ქურდაძე



თენგიზ გაჩეჩილაძე

# იმარჯვებს „თელა“

შეხედავ და უმალვე მიიპყრობს ყურადღებას: მიდის მოხდენილად, მსუბუქად, შემართული, თავაწეული.

თვალს გააყოლებ და თუ ხმამაღლა არ იტყვი, გულში მაინც გაიფიქრებ: — კარგია, მშვენიერია!

მაგრამ უფრო უკეთესი იცით რა არის? შენ მხოლოდ ის ერთი მოგხვდა თვალში, მაგრამ აი, დააკვირდი, მარტო ის კი არა, ყველანი რა კარგები არიან — ასევე ლაღად მიმავალნი, ლამაზები, თვალმახარები.

ეს გოგო-ბიჭები ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკთან ჩაუხვევენ, მწვანე ხეივანს გადევნებულ აგურისფერ ბილიკს ჩაიპირდაპირებენ და უმალ თავიანთ სამფლობელოში აღმოჩნდებიან. აქ არის თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების სახალხო სტუდია „თელა“, სადაც იწყება მათთვის სილაღესთან, სილამაზესთან, სხეულისა და სულის წვრთნასთან შერწყმული დაძაბული შემოქმედებითი შრომა.

უკრავს მუსიკა.

ბრუნავს ცოცხალ, ხალისიან რიტმს დაუფლებული მსუბუქი სხეული, თუმცა არა, ხილაღე და სიმსუბუქე მერე მოდის, სტუდიაში კარგა ხნის მუყაითი მუშაობის შემდეგ.

თავიდან კი ბევრი ისეთი მოუქნელია, მოუხერხებელი! ზოგმა პედაგოგმა შეიძლება ხელიც კი ჩაიქნიოს, ამისგან არაფერი გამოვაო, მაგრამ თენგიზ მასწავლებელმა კარგად იცის: ყველა ერთბაშად როდი იხსნება, ყველა თავიდანვე როდი ავლენს თავის ნიჭსა და უნარს, საკუთარი სხეულის შესაძლებლობებს. საჭიროა საგულდაგულო, ბეჯითი მუშაობა, თითოეულის ხასიათში წვდომა, თითოეულის ნდობის დამსახურება, შენად მოქცევა.

ეს კარგად იცის ლარისა მასწავლებელმაც. იციან, სხვა პედაგოგებმაც, თენგიზისა და ლარისას ასისტენტებმა. ალბათ, ეს ერთი აზრი, უფრო სწორად ერთსულოვნებაც არის, წარმატებებს რომ უხვეჭს „თელას“.

წარმატების უპირველესი მიზეზი კი აღმზრდელთა პროფესიონალიზმია, — საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობაა, საქმის უდიდესი სიყვარულია. სტუდიის ხელმძღვანელები ლარისა ქურდაძე და თენგიზ გაჩეჩილაძე საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატები არიან, ბევრი ლაურეატის გამზრდელნი, თბილისში თუ რესპუბლიკის რაიონებში მოქმედი თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრეების მრავალი ხელმძღვანელის დამკვალიანებელნი და გეზის მიმცემნი.

ანსამბლის სოლისტებს ხშირად იწვევენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ კონკურსებზე, ტურნირებსა და ფესტივალებზე და უმრავლდება „თელას“ ლაურეატები, დიპლომანტები. 1986 წელს სამეჯლისო ცეკვების ანსამბლების პირველ საკავშირო ფესტივალზე ანსამბლმა „თელამ“, რომელიც ამ დიდ ფორუმზე ჩვენს რესპუბლიკას წარმოადგენდა, ბრინჯაოს მედლები და დიპლომანტის წოდება დაიმსახურა. ქალაქ მოსკოვში საკავშირო კონკურსზე კი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი მოცეკვავე მონაწილეობდა, ანსამბლის სოლისტები შორენა გაჩეჩილაძე და გოჩა ჩერტკოევი ფინალში გავიდნენ და გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ.

სწორედ ასეთმა წარმატებებმა მოუტანა სტუდიას სახალხოობა. (სახალხო სტუდიის სახელი რამდენიმე თვეა დაიმკვიდრეს).

სახალხო სტუდია — ეს უკვე სხვა ჰორიზონტია, სხვა სიმაღლეა, სხვა თვალსაწიერი. ეს თავისთავად მოიცავს ზრუნვას არა მარტო შენი სტუდიისათვის, შენი მოცეკვავეებისათვის, არამედ სხვებისთვისაც, თუ გნებავთ, იმისთვისაც, რომ მთელს რესპუბ-



ლიკაში ამაღლდეს იმ მომხიბლავი ხელოვნების დონე, რომელსაც ისინი, სტუდიელები ემსახურებიან. თუ ამ პატარა მონათხრობის შემდეგ ვინმეს სურვილი აღეძრა ამ სტუდიასთან მეგობრობისა, მათ ცოტას კიდევ ვუამბობთ „თელას“ შესახებ.

სტუდიაში ოთხწლიანი კურსია. მაგრამ ბავშვმა (რომელსაც 7 წლის ასაკიდან იღებენ) სწავლის დაწყებამდე მოსამზადებელი ჯგუფი უნდა გაიაროს. წლის ბოლოს ეწყობა თავისებური გამოცდა-კონკურსი და საუკეთესო წყვილები სტუდიის პირველ კურსზე ჩაირიცხებიან. ისინი საკონცერტო ჯგუფებს ქმნიან.

იწყება საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება. სამეჯლისო ცეკვების განვითარებისათვის ხომ აუცილებელი პირობაა საკონკურსო მოღვაწეობა. და სტუდიელებიც სწავლასთან ერთად ყოველთვიური კონკურს-შეჯიბრებებით არიან დაკავებულნი. ვინ უფრო მოხდენილად ჩაიცვამს, ვინ უფრო მოქნილად იცეკვებს, ვინ უფრო მეტად მოაწონებს თავს და სიამოვნებას მოგვრის მაყურებელს თავისი უშუალობითა და ელეგანტური მიხრა-მოხრით, — აი შეფასების კრიტერიუმები. მეორე-მესამე კურსებიდან საუკეთესონი რესპუბლიკის გარეთ იწყებენ გასვლას კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად.

სტუდიაში ვერ მოხვდა ბავშვი? არა უშავს. მოსამზადებელ ჯგუფში მეცადინეობა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ საჭიროების დროს, შინაურების, მეგობრების თუ სხვა წრეში იცეკვოს მოხდენილად.

სტუდიელთა განკარგულებაშია მშვენიერი სარკეებიანი დარბაზი, გოგონებისა და ბიჭების გასახდელები, მასწავლებელთა კაბინეტი. დღეს სტუდიის თოთხმეტ ჯგუფში სამასამდე მოსწავლე ეუფლება ცეკვის ხელოვნებას.

ლარისა ქურდაძეს და თენგიზ გაჩეჩილაძეს, როგორც უმაღლესი კატეგორიის ქორეოგრაფებს, უკვე ხუთი-ექვსი წელია სისტემატურად იწვევენ ჩეხოსლოვაკიაში პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ამ საქმის დიდი პროფესიონალები იგორ და იაროსლავ პენზელები.

სრული დატვირთვით, დაძაბულად მუშაობს „თელას“ კოლექტივი. ეს შრომა მარტო მოზარდებს როდი ულამაზებს ცხოვრებას. სტუდიასთან შექმნილია ჯგუფი, რომლის წევრთა ასაკი ოცდათხუთმეტს სცილდება. მუშა-მოსამსახურეები, პედაგოგები, ექიმები, მხატვრები, ინჟინრები, მეცნიერ-მუშაკები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გაერთიანებულნი არიან სამეჯლისო ცეკვების მოყვარულთა კლუბში. თითოეული მათგანი ხელოვნების ამ დარგის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი და მშვენიერი პროპაგანდისტია.

შემოქმედებითი ცხოვრება განუყოფელია მშვენიერებისაგან. ალბათ ამიტომაც არის: შეხედავ და უმალ მოგეწონება მოხდენილად, ლაღად მიმავალნი, ლამაზები, თვალმახარები...

მზია კოზერიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზეიმი ზაკოპანეში

## ფრონტული დღიური

ჩემს ცხოვრებაში ბევრი 8 მარტი მიზეიმია, მაგრამ რა დამავიწყებს 1945 წლის ფრონტულ სიხარულს. ჩვენ ხომ უკვე გამარჯვების ზღურბლთან ვიდექით!

ძალზე მიყვარს გაზაფხულის ეს ნათელი დღესასწაული, აღსავსე ბუნების სიმშვენიერით, პირველი იითა და ენძელით... ბუნების გაღვიძებას ხომ თან სდევს ახალი მისწრაფებები, წარმატებები.

სამამულო ომის მძიმე გზებზე სად არ შევხვედრივარ ქალთა თავდადებას, გმირობას, უზადო შრომას და, რაც მთავარია, სამშობლოსა და ხალხის ერთგულებას. ბრძოლის ველზე ეს სათუთი, ნაზი არსებები ნამდვილ გმირებად იქცეოდნენ, თავიანთ ფიზიკურ შესაძლებლობაზე ბევრად მეტს აკეთებდნენ. ვინ მოთვლის, რამდენი ქალის სიცოცხლე შეეწირა ომის ქარტეხილს.

ჩვენთან, ნაწილში, სარვამარტო ზეიმისათვის მზადება იყო. ქალები იმას ვფიქრობდით, აქ საფრონტო პირობებში კაცები რას მოიმოქმედებდნენ, რით გაგვახარებდნენ.

სრულიად მოულოდნელად მე, მე-18 არმიის საველე ქირურგიული ჰოსპიტლის ექიმმა და ორმა ჩემმა მედდამ არმიის შტაბიდან 8 მარტის ზეიმზე მოსაწვევი ბარათი მივიღეთ.

იმ პერიოდში ჩვენი არმია გაშლილი ფრონტით მოქმედებდა — იწყებოდა ჩეხოსლოვაკიიდან, ქ. პოპრადიდან, სადაც ჩვენი ჰოსპიტალი მუშაობდა, და მთავრდებოდა პოლონეთით, ახალი ტარგით, სადაც არმიის შტაბი იდგა.

ზეიმი პოლონეთში, დიდებულ კურორტ ზაკოპანის დიდ სასახლეში ეწყობოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ, მიწვეულებს უნდა გაგვევლო გრძელი გზა, უკან მოგვეტოვებია მაღალი ტატრების მთები და უღელტეხილი.

ჩვენს წასაყვანად ვილისი მოვიდა — ხანშიშესული სიმპათიური მძღოლით და გამყოლით — ახალგაზრდა ლეიტენანტით.

ქალები სწრაფად მოვემზადეთ და გავუდექით გზას.

სწორმა შარაგზამ მალე უღრანი ტყისაკენ გადაუხვია. ბევრი აღმართ-დაღმართი გავიარეთ და ბოლოს უღელტეხილიც გადავლახეთ. წინ გზა გადაკეტილი დაგვხვდა, ზვავი ჩამოწოლილიყო და ტანკები წმენდდნენ. უამრავი ხალხი ტრიალებდა.

შორიახლოს ნისლს დაებურა გარემო. ზემოდან თეთრთავა სოკოებივით იდგნენ მწვერვალები, ქვევით, ხევში კი ტყის სიმწვანე თანდათან მუქდებოდა. სულგანაბული გავცქეროდი იქაურობას, თვალწინ ჩემი სამშობლოს ბუნება წარმომიდგა, ეს თოვლიანი ციცაბო მწვერვალები მაგონებდნენ დიდებულ კავკასიონს.

მთაში ღამე მალე ჩამოწვა. უცბათ ამოვარდნილი ქარბუქი შორეული ქვემეხების გრიალს ფარავდა.

აშკარა იყო, რომ ღამისთევა აქ მოგვიწევდა. ამ მთებში უშუქოდ მოძრაობა სადმე გადაჩეხვას უდრიდა, სინათლით კი — სახიფათო საჰაერო თავდასხმას. გაგვიფუჭდა საზეიმო განწყობილება, შეგვცივდა, მოგვშივდა და შიშიც შემოგვეპარა. დიდხანს ვისხედით ასე გაყუჩულნი. ბოლოს ღამემ თავისი გაიტანა და ჩავთვლიმეთ...

უეცრად მძღოლმა გამოგვაღვიძა. ჩვენ, სამივენი, საჰაერო განგაშს მიჩვეულები, ერთ წუთში წამოვხტით, მანქანიდან გადმოვცვივდით და იქვე, გზისპირა, ღრმა თოვლიან ხევში გადავეშვით, მიწაზე გავინართხეთ სროლისა და დაბომბვის მოლოდინში. ცოტა ხანში სიცილით თავზე წამოგვადგა ლეიტენანტი:

— რა ამბავია, ასე რამ შეგაშინათ?

— ჩვენ, შერცხვენილები, აბა, რას ვუპასუხებდით! ხევიდან ძლივს ამოვლასლასდით, რომ ერთ-ერთი მთისაკენ მიგვითითეს. მაღალ მწვერვალზე მზე ირიბად ირეკლებოდა და თოვლის საბურველი მარგალიტებივით ციმციმებდა. იქვე რაღაცა დიდი შავი წერტილი მოძრაობდა. უამრავი ხალხი გადმოსულიყო მანქანებიდან და ამ ცოცხალ არსებას გაკვირვებით შესცქეროდა. მართლაც რომ, საკვირველი სურათი ვიხილეთ — საშინელ ორომტრიალში გადარჩენილი ცოცხალი ცხოველი!

— ფრონტული საოცრებაა, — წამოიძახა ვიღაცამ. ამ წერტილმა თითქოს ყველა მოაჯადოვა. შემდეგ თანდათან ატყდა ჟრიამული, შეძახილები.

სილაღემ ფრთები გაშალა. ყველა გასცქეროდა სანახაობას და ზოგი ირმად, ზოგი ჯიხვად და ზოგი დათვად ნათლავდა ნადირს. მებრძოლებს შორის მონადირეებიც გამოჩნდნენ. მათ ჩვენი მძღოლიც შეუერთდა. დაიწყო მათი ბაქიაობა, წარსულის გახსენება. ზოგი ტყუილს, ზოგი მართალს ჰყვებოდა, მაგრამ ყოველივე ამას მხიარულება, სიხალისე მოსდევდა. ქალები თვალს ვადევნებდით ცხოველის მოძრაობას და ვუსმენდით საინტერესო ამბებს. ო, როგორ სწყუროდათ მებრძოლებს მშვიდობა!

მოულოდნელად ქვემეხის ზალპი გაისმა. მთის ექომ ეს ხმა მძლავრად გადმოსცა და მთიდან მთისკენ, შორს გადატყორცნა. ერთ ზალპს მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამე... მწვერვალზე ცხოველი გაუჩინარდა.

სიმშვიდე წუთში გაქრა და ყველანი ღრმა ხევში ჩავწექით. ისევ ომის საშინელებამ შეგვაძრწუნა.

— წავიდეთ აქედან, — დაიძახა ვიღაც ოფიცერმა. — მთებში ძნელია გარკვევა, საიდან გვესვრიან.

წამსვე დაიძრა მანქანები.

ქ. ახალ ტარგში მშვიდობით ჩავედით. კურორტ ზაკოპანეში გაზაფხულის შხაპუნა წვიმა დაგვიხვდა. ქუჩაში უამრავი ხალხი გამოსულიყო. ჩვენი ყურადღება ქალებმა, მათმა ჩაცმულობამ და კოსმეტიკამ მიიპყრო.

როგორ ფერიებივით დადიან ეს ახალგაზრდები გამჭვირვალე, სხვადასხვა ფერის საწვიმრებით, წითელი, ყვითელი, თეთრი, ლურჯი, ვარდისფერი ერთმანეთში ირევა. მოკლედ, აქ ნამდვილი მოსიარულე ცისარტყელები არიან, — ვუთხარი გოგონებს.

— ექიმო, შეხედეთ ქოლგებს. ისინიც როგორი გამჭვირვალე და ლამაზია! — შემეხმიანა ექთანი.

— გოგონებო, დაწყნარდით. აი, ომი მალე დამთავრდება, ყველაფერი გექნებათ, მთავარია ახლა არ გამოიჩინოთ სულწასულობა, — გვარიგებდა ლეიტენანტი.

— ჩვენ ბერლინამდე უნდა ვიაროთ, მაშინ ექნება ფასი გამარჯვებას, — ენაწყლიანობდა ლეიტენანტი. — ფაშიზმი იქ, ჰიტლერის ბუნაგში უნდა ჩავკლათ. ეს დღე უკვე მალე დადგება.

მანქანა გაჩერდა. მარმარილოს სვეტებიანი შენობიდან სასულე ორკესტრის სამხიარულო ჰანგები ისმოდა. ლეიტენანტმა პოდპოლკოვნიკ ოსტროვსკისთან მიგვიყვანა.

ჩვენ სწრაფად მოვწესრიგდით და ზაკოპანის სასახლის სამეჯლისო დარბაზში შევედით.

მარმარილოს სვეტებიანი დიდი, ნათელი დარბაზი საგანგებოდ, საზეიმოდ მოერთოთ. აქ უამრავი ქალი და კაცი ირეოდა. ზოგ ქალს სამხედრო ფორმა არ ეცვა, რაც ძალიან გვეხამუშა. ჩვენ ისე შევეჩვიეთ სამხედრო ტანსაცმელს, რომ კაბა დაგვავიწყდა კიდეც.

შესვლისთანავე მე ჩემი მეგობრები ვალია შელემინა, ელენე მოვიკოვა, ლენა კოსტევა, რივა სპივაკი, ნინა დიმიტრიევა, ლიუბაშა პახომოვა და სხვები შემომეგებნენ. ჩვენ გულთბილად გადავკოცნეთ ერთმანეთი, განსაკუთრებით გამიხარდა ლიდა კირიაკოვას ნახვა. ეს ექიმი მე მცირე მიწაზე შევცვალე.

ჩემთან თბილისელი მიშა მურადოვი და ბათუმელი აბელ ჯინჭარაძე მოვიდნენ და 8 მარტი მომილოცეს. მერე გენერალი ევგენი ჟურინი შემეხმიანა. მივესალმე ქირურგ ხოხლოვს, ნოსიკს, ალიოშა მორნევს, ჩემთვის უკვე ყველა ახლობელს.

საზეიმო სხდომა დაიწყო. გენერალმა ლეონიდ ბრეჟნევმა 8 მარტი ქალებს გულითადად მოგვილოცა, მერე არმიის მხედართმთავარმა გენერალმა გასტილოვიჩმა უმაღლესი მთავარსარდლის — სტალინის მადლობა წაგვიკითხა. ჩვენ ვგრძნობდით, რომ მტერზე გამარჯვება უკვე გარდუვალი იყო.

სცენიდან ქალებს ბევრი თბილი, საქებარი სიტყვა გვითხრეს. შემდეგ საზეიმო სუფრაზე მიგვიპატიჟეს. მაგიდები რამდენიმე წყებად იყო გაშლილი, ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ყოველ თეფშზე პატარა მინდვრის ყვავილი იდო. აქ ყველაფერი საგანგებოდ, დიდი სიყვარულით მოეწყოთ. ეს დღე ღირსახსოვარი, დაუვიწყარი დარჩა ჩემს საფრონტო ცხოვრებაში.

მშვენიერი კონცერტიც გაიმართა. თავისი სიმღერით დაგვატკბო შულჟენკომ და ჩვენი არმიის ანსამბლმა რისმანის ხელმძღვანელობით. მერე ყველამ ერთად ფრონტული სიმღერები ვიმღერეთ, ვცეკვავდით. მეც მაცეკვეს მთიულური. ქალებისათვის სპეციალური ლატარიაც მოაწყეს, პოლონური სუნამო შემხვდა. მაშინვე გავხსენი და გოგონებს შევაფრქვიე. ახალგაზრდული განწყობილება ზეიმობდა, თითქოს მშვიდობიანობის დროს ვხვდებოდით 8 მარტს. ომი უმალ გადაგვავიწყდა. ჩვენს სულში გადაიკარგა!

ჰოსპიტალში მისვლისას ახლად მოყვანილი დაჭრილები დაგვიხვდა. ისევ შემართება, მძვინვარე ომი გრძელდებოდა...

**თამარ გოთუა**

## იუმორი




მძახალი ურეკავს ტელეფონით მძახალს:

— მადლობელი ვარ, ჩემო კარგო, ასეთი ქალიშვილი რომ გაგიზრდიათ! უკვე თვე გავიდა და ახალდაქორწინებულებს ჯერ ჩხუბი არ მოსვლიათ.

ქალს სიხარულისაგან ენა ჩაუვარდა, ერთხანს ასე გაოგნებული იყო და მერე, როცა ტელეფონი გაითიშა, როდის-როდის ამოღერღა:

— გაიგე, რა თქვა? გახსოვს, ჩემო ნიკო, როგორ ვნერვიულობდით, ერთ კვირაში გამოგვიგდებენ ჩვენს ქალიშვილსო?

— როგორ არ მახსოვს, აქ დღის პირველ საათამდის ეძინა, — გაიკვირვა მამამ.

კმაყოფილებით სახეგაბადრულმა ქალმა წამწამები დაათვახულა და ქმრის გვერდით მიაცურა სავარძელი...

— სასწაულია პირდაპირ, ტელეფონის ზარზე ელდა მეცემოდა ხოლმე, აწი მშვიდად დამეძინება.

— შიშისაგან სტუმრადაც ვერ მივსულვართ სიძის ოჯახში, — კვერი დაუკრა ნიკომ, — კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, რომ ისევ ტელეფონის ხმამ შეაწყვეტინა ლაპარაკი.

— შენა ხარ, ჩემო გოგონი? როგორ? იმას დღის ორ საათამდის სძინავს? ერთ საათს კოსმეტიკას უნდები? მაშ კარგად შეეწყეთ ერთმანეთს? ცოლ-ქმრობა ხომ შეჩვევაა, ნიკო, ერთი ყური დაუგდე: ისაუზმებთ თუ არა, მამამთილის „ვოლგით“ ინსტიტუტში გამოცხადდებით, მერე „შატალოზე“ — ახალგაზრდობის კლუბში, შემდეგ წაიხემსებთ კაფეში, დაივლით მაღაზიებს, ასე რომ, შინ დაღლილი ბრუნდებით. მადიანად შეექცევით დედამთილის მომზადებულ კერძებს, აბოლებთ „მარლბოროს“, ივახშმებთ. რაო, გოგოები მოვიდნენ? ჩვენთვის არ გცალია? მიუჯდებით „ვიდეოს“ და თან ყავას შეექცევით. ჩვენც გკოცნით, ჩაო! ნიკო, მომიკიდე „მარლბოროს“...

**მარიამ დილმელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ბადრიჯანი აფხაზურად

1 კგ კარგად გასუფთავებულ-გარეცხილი ბადრიჯანი დაჭერით ოთხკუთხედ ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და მწარე გემო რომ გამოუვიდეს, დატოვეთ ასე ერთი საათით, შემდეგ გადაავლეთ წყალი, კარგად გაწურეთ, ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაუმატეთ მას 300 გრამ ზეთში მოშუშული (წვრილად დაჭრილი 4-5 თავი) ხახვი, კარგად აურიეთ და შედგით ნელ ცეცხლზე, მანამ ვიდრე ბადრიჯანი კარგად მოიშუშება. შემდეგ დაუმატეთ დანაყილი ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ქონდარი (თითო ჩაის კოვზი), 3-4 კბილი ძალიან წვრილად დაჭრილი ნიორი, წითელი პილპილი (გემოვნებით), 2 სუფრის კოვზი ძმარი, 1 ჩაის ჭიქა ბროწეულის მარცვალი (თუ ბროწეული არ გექნებათ იმ შემთხვევაში 2 სუფრის კოვზი ძმარი), მარილი გემოვნებით და კვლავ განაგრძეთ მოშუშვა 4-5 წუთის განმავლობაში.

## მწიფე პამიდორში მოშუშული კიტრი

4-5 თავი ხახვი მოშუშეთ 300 გრ ზეთში, დაუმატეთ პატარა ოთხკუთხედებად დაჭრილი 1 კგ კიტრი, ძალიან წვრილად დაჭრილი (თითო პატარა კონა) ნიახური, ოხრახუში, ცერეცო, რეჰანი, 5-6 კბილი ნიორი, 1 კგ კანგაცლილი და წვრილად დაჭრილი პამიდორი ან 1 ჩაის ჭიქა ტომატი (პილპილი რომელიც გნებავთ), მარილი გემოვნებით, აურიეთ და განაგრძეთ მოშუშვა ნელ ცეცხლზე 20-25 წუთის განმავლობაში.

## ზეთში მოშუშული მწვანე პამიდორი

4-5 თავი ხახვი მოშუშეთ 300 გრ ზეთში, დაუმატეთ 1 კგ ოთხკუთხედებად დაჭრილი მწვანე პამიდორი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, რეჰანი, ქინძი (ყველაფერი თითო კონა), 4-5 კბილი ნიორი, პილპილი და მარილი გემოვნებით და განაგრძეთ მოშუშვა 15-20 წუთის განმავლობაში.

## მწვანე პამიდორის მჟნილი

აიღეთ 500 გრ ნიახური, 200 გრ ოხრახუში, 200 გრ ცერეცო, 200 გრ პრასი, 5 კგ ხახვი, 1 კგ ნიორი, 1 კგ მწვანე პილპილი. ნიორი და მწვანილი დაჭერით წვრილად, ხახვი და წიწაკა ალყა-ალყა, მარილი გემოვნებით. დაასხით 2 ლიტრი თეთრი ძმარი, აურიეთ კარგად და დატოვეთ ასე (2-3 საათი. შემდეგ ფარში მზად იქნება). შემდეგ გადარჩეული გარეცხილი პამიდორი გაჭერით შუა-შუა ისე, რომ ნაწილები ერთმანეთს არ მოაშოროთ, ამოტენეთ ფარშით, მჭიდროდ ჩაალაგეთ დაუზიანებელ მომინანქრებულ ქვაბში ან სქელი მინის ქილაში, ზემოდან დაადეთ სიმძიმე, დაახურეთ თავსახური და დადგით გრილ ადგილზე. პამიდორი თანდათან გამოყოფს წვენს და 2-3 დღეში დაიწყებს „დუღილს“, „დუღილის“ დამთავრების შემდეგ, როდესაც პამიდორი უკვე დამჟავდება, შეგიძლიათ გაანაწილოთ ცალკე ქილებში, დაახუროთ თავზე და შეინახოთ კვლავ გრილ ადგილზე (ძლებს დიდხანს).

## პამიდორის საწებელა

10 კგ სალი მწიფე პამიდორი გარეცხეთ, დაჭერით და მოათავსეთ ქვაბში, აქვე მოათავსეთ ხორცის საფქვავ მანქანაში გატარებული 10 კგ ბულგარული ტკბილი წითელი პილპილი (წიწაკას თესლი უნდა გამოაცალოთ) და 3 კგ წითელი მწარე პილპილი; აურიეთ კარგად და შედგით საშუალო ცეცხლზე მოსახარშად, როდესაც კარგად მოიხარშება, გახეხეთ, გახეხილი მასა მოათავსეთ კვლავ ქვაბში, დაუმატეთ 1 კგ დანაყილი ან გატარებული ნიორი, 500 გრ დანაყილი ხმელი ქინძი, 500 გრ დანაყილი უცხო სუნელი, აურიეთ, კვლავ შედგით საშუალო ცეცხლზე და ადუღეთ (ხშირი მორევით) მანამ, სანამ არ მიიღებთ თქვენთვის სასურველი სისქის საწებელს. შემდეგ შეაზავეთ მარილით (გემოვნებით), გააგრილეთ და ხელმეორედ გახეხეთ. საწებელი შეგიძლიათ შეინახოთ ქილებშიც და ბოთლებშიც (გრილ ადგილზე).

ლ. ჯიქია

სოხუმი

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე — ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილენი თბილისში. დ. იაკობაშვილის ფოტოები

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. ბაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჭვანია, პ. ელენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. ზალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 23. 06. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 08. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000 შეკვ. 1607. უე 09681.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უსიტყვოდ

ბულგარელი მხატვარი ბოჟიდარ გეორგიევი

ფასი 80 კაპ.

64/153

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

